

- օրոցնեցաց շաբաթ  
60-ժամանակաշրջան -

№ 1 թ 3. 1913-1914 թ.

776130 -

ՀՈՅԱԿԱՆ ՏՐՈՓԱ ՊԵՏՎԱՆԴԻ  
ԸՆԿ Խ ՃՆԿԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ, ՀԱՅ ԱՆԴՎԵԼԵՎ  
Ֆ. 6 - ԵՎՐՈՊԱ ՀԱՅ ՀԱՅԱ  
"ՊՈՀԱՐԱՐՄԻՆԻԱՆ" ՔՐԵԱԿ ԽԱՅ  
ՅԱԴՅԱՆ 1919 թ. ՌԱԴԻ Ն ՀԱՅ  
ՏՐՈՓԱ ՊԵՏՎԱՆԴԻ ԱՐԴՅՈՒՆՎՈՒՅՑ  
ԱՐ ՀԱՅԱՍՏԱՆ.

# თავისუფალი საქართველო

0166101

№ 1

1913

## ჩედადი 1913 წელი

ისტორიულმა პირობებმა ქართველი ერი ჩაუყნა მეტად დიდ განსაცდელში. დღეს თქვენ ვერ ჰქონდთ ვერც ერთს მხარეს ქართველ ერის არსებობისას, რომელზედაც მტრებს იქრიში არ მოჰქონდეთ. მოარიდაპირე ძალები ქართველ ერს დაშლას, გაქრობას უქადიან. თვით მის შემადგენლობაშიაც არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ამ გარებან მოტანილ იერიშს ხელს უწყობენ. ასეთი მდგომარეობა გვავალებს ჩავფიქრდეთ, აეწონ — დავწონოთ ჩვენი არსებობის ყოველი მხარე, ნათლად შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობა და გამოვძებნოთ ზომები ქართველ ერის პიროვნების დასაცველად. მეორე მხრით, ჩვენ მდგომარეობაში სხვა ერებიც ყოფილან და დღესაც არიან. თვითეული მათგანი იბრძეს, რათა მონობას თავი დააღწიოს და განთავისუფლდეს. ჩვენ ეუკირდებით მათ, ესწავლობთ მათ ბრძოლის საშვალებათ და ამით ვიძენთ მეტ გამოცდილებას და შეგნებას.

ჩვენის აზრით, არც ერთი დიდი საკითხი ქართველი ერის არსებობისა ჯერჯერობით არ არის ეროვნული თვალსაზრისით გარკვეული და გადაჭრილი. ჩვენ ვეცდებით ყველა ამ საკითხებს მივცეთ გარკვეული გადაჭრა, შევიმუშაოთ მთელი გეგმა, ეროვნულ თვითარსებობის დაცვისა, საქართველოს აღდგენისა, მისი განთავისუფლებისა და ამ გეგმის გარშემო თავი მოვუყაროთ მთელ შემოქმედ საქართველოს. ჩვენ კარგად გვესმის სიძნელე იმ საქმისა, რომელსაც ხელს ვეიდებოთ, ისიც კარგად ვიცით, თუ როგორი უნდობლობით მიეგებება ჩვენს აზრს გათახსირებული, ეროვნულად გარევნილი ნაწილი ქართველობისა, მაგრამ ეს ჩვენ არამაც თუ არ გვაშინებს, პირიქით მეტ ძალას და სიმხნეებს გვაძლევს. შედარებით ვერც ერთს ერში ვერ ჰქონდთ ოქვენ იძღენ მოლალატეს, გამცემს, სამშობლოს ორგულს, რამდენიც ჩვენშია. მაგრამ ქართველ ერის შემოქმედების ძალა იმდენად დიდია, რომ მათაც გასრესს, გარეშე მტერთაც მოიგერიებს და გაკვლევს გზას თავისუფლებისკენ. დარწმუნებული, რომ სამშობლოს ყოველი შეილი ჩვენთან არის სულიერად, იტანჯება იმავე საკითხებით, რომელთა გამორკევა ჩვენ მიზნად დავისახეთ, ჩვენ ველით მათგან თანაგრძნობას, თანამშრომლობას, ჩვენთან ერთად მუშაობას და ბრძოლას ძვირფას სამშობლოს, დიდებულ ქართველ ერის. პოლიტიკურად აღდგენის, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

დამოუკიდებელი საქართველო და ქართველი დამოუკრძალი.

მრი და დემოკრატია — აი ორი მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელიც საოცარი სისწრაფით იზრდება და განსაზღვრულ სახეს იღებს. დემოკრატიის გამოღვიძება, დემოკრატიის საპოლიტიკო ასაპარესზე გამოსვლა ეს ახალი და ძლევა მოსილი მოვლენაა თანამედროვე ცხოვრებისა. ხოლო ყოველგან, სადაც კი ეს დემოკრატია ამოძრავდა, მისმა მოძრაობამ მიიღო ეროვნული სახე. დემოკრატია გადის საქეუინო სარჩიელზე ეროვნულ შემოქმედების ფორმით. ერნი თანდათან ყალიბდებიან და თავის ინდივიდუალურ სახეს იღებენ. ეს სახე ეროვნებისა არის სახელმწიფო. რამდენადაც ერი იზრდება, იმდენადაც ის სახელმწიფოდ გარდაიქმნება. ერის ზრდა, ერის განვითარება არის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქცევა. ინგრევა ძველი, ხელოვნურად აშენებული სახელმწიფოები, ინგრევა ძველი დესპოტიები და მათ ნანგრევები შენდება ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოები. აი, გადახედეთ ისტორიას. ნორვეგია შორდება შვეციას, რათა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდეს, რომ თავის-უფალად შეეძლოს საკუთარი ეროვნული საქმიანობა, უნგრეთი ეპრძვის ავსტრიას, აწყობს ეროვნულ აჯანყებას, რათა მას სრულებით მოსწყდეს, იმარჯვებს ბატონშე, მაგრამ ამ დროს თავს დაქსმება ეკრანის უნდარმი, რუსის ნიკოლოზი თავისი მხედრობით და ამარცხებს მას. მაინც უნგრეთი ჰქმნის თითქმის დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მხოლოდ პირადი კავშირით შეთანხმებულს ავსტრიასთან, ჩეხია მუდამ ბრძოლაშია საკუთარ სახელმწიფოებრივობის მოსაპოებლად. პოლონეთი აწყობს რამდენიმე აჯანყებას თავის განსათავისუფლებლად, დამარცხებული ხელახლა ძალს იკრებს ახალ გამოსვლისათვის, ბრძოლა ჩუმი თუ ცხადი მუდმივ სწორმოებს. საბერძნეთი ოსმალოს მიერ დამონაბული ხუთას წელიწადს მოუსვენებლივ იბრძვის, ვიდრე მიზანს არ აღწევს, პატარა შავი მთა მუდამ იარაღში ზის, რათა დიისვას თავისი პიროვნება; სერბია და ბულგარია, რუმანია, აი ის ქვეყნები, სადაც ეროვნული იდეისთვის ათასობით თავს სდებდნენ მამულიშვილნი, ვიდრე დოროშა სამშობლოს თავისუფლებისა არ დაკვიდრეს. თვით ალბანთა ერი, ეს მთის არწივნი, გაციცხლდა და დღეს თუ ხევალ თავის განსაზღვრულ ეროვნულ სახეს მიიღებს, თავის სახელმწიფოს შექმნის. და ესბრძოლა ეროვნულ სახის აღდგენისათვის იმდენად მწვავეა, იმდენად ერი დაჩაგრული წელში მაგრდება და წინ მიდის, რამდენადაც მისი დემოკრატია ძლიერია. დემოკრატია, ხალხი — აი ვინაა ნამდვილი ეროვნულ ძალის მატარებელი.

რას ვაკეთებთ ჩენ, ქართველები?

რა მდგომარეობაში ვართ?

საქართველოს ტერიტორია, ეს ძირითადი საფუძველი, ურომლისოდაც ქართველი ერი აუცილებლივ გადაშენდება, დღითი — დღე იფლანგება და ქართველ ერის ფეხ ქვეშ ეცლება. მას ისაკუთრებს რუსის მთავრობა, მწყობრი სახელმწიფოებრივი ზომებით, სახელწიფო ბანკის, საგლეხი ბანკის, ძალათ მითვისების და სხვა ათასგვარ საშვალებათა შემწეობით აგ-

ლეჯს ქართველ ხალხს მიწა-წყალს და ამ ადგილებს სთავაზობს გადმოსაკვეთა  
ხლების ულტიმატური მიზანი არის სამხრეთი ეკონომიკური მდგრადი გა-  
ქება. მას იგდებს ხელში ჩარჩო სომხეთი ჩვენივე უგუნდრობით წყალობით გა-  
მდიდრებული. მასევ ეპატრონება უცხო კაპიტალისტი, რათა ჩვენებ მო-  
ნად გვაქციოს და ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ხელით თავის სამშობ-  
ლოში გადაზიდოს. რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ ქართველ ერს არ აქვს  
საშვალება თავი დაიცას, ქართველ ერს არ აქვს თავისი სახელმწიფო.

ქართველ ერის უდიდეს ნაწილს, ქართველ გლეხობას, უსასტიკესი უ-  
ლელი მოთარეშე თავადისა კისერზე აწევს, ზნექს მას მიწამდე, ადამიანო-  
ბას უშობს, დღე და ღამ მომუშავეს შიმშილობაში აგდებს, ამცირებს ზნე-  
ობრივათ; იმიტომ რომ ქართველ ერს არ აქვს სახელმწიფო, რათა შეს-  
ლოს თავის შემომქმედ ნაწილს ფრთა გააშლევინოს, უსაქმურნი და პარა-  
ზიტნი დასუეს და ამით თვითონაც ამაღლდეს.

ჩარჩო და უცხო კაპიტალისტი დაურიდებლად სასარცვავს ქართველ ერს,  
იმიტომ რომ რომ მას არ აქვს საშვალება თავისი თავი დაიცას, მას არ აქვს  
თავისი სახელმწიფო.

საქართველოს შუა გულში, ქალაქ თელავში გუშინდელი მოსული ჩარ-  
ჩი დღეს ბატონაც ასხადებს თავის თავს, არ ირჩევს ქალაქის თვითმართ-  
ველობაში არც ერთს ქართველს, უარყოფს ქალაქის საზღვრების გაფარ-  
თოებას, რადგან ეს გაფართოება ქართველთა ქალაქში გამრავლება იქნე-  
ბა. მოსული, კუნძომიურად გაძლიერებული, დღეს ქართველ ერის პილი-  
ტიკურ ბატონობასაც იჩემდეს; იმიტომ რომ ქართველი ერი დაქაქსულია,  
მას არ აქვს საშვალება თავი დაიცას, მას არ აქვს თავისი სახელმწიფო.

ქართველი მშრომელი ხელი საქართველოში უცხოა, ის ეჯავრებათ. მას  
ეჭვის თვალით უცეკვენ, მას არ აძლევენ სამუშაოს არც სახელმწიფო და-  
წესებულებაში, არც ქალაქის თვითმართველობაში, თუ ეს ქალაქის თვით-  
მართველობა არა ქართველთა ხელშია. ქართველ მუშას სამშობლოდან ერე-  
კებიან. იმიტომ რომ ქართველი ერი სხვისი სათამაშო გამხდარა, ის ვერ  
უწევს მფარველობას თავის შვილს, რადგან მას არ აქვს თავისი სახელმწი-  
ფო.

ქრონიკი ენა გააძევეს ყოველ დაწესებულებიდან. მას მოურიდებლად  
სდევნიან, დღითი—დღე ახშობენ, სპობენ, ქართულ აზროვნებას გზას უხ-  
შავენ, ქართველთა ეროვნული შემოქმედება ფრთას ვერ შლის, ქართველ  
ერს გადაგრძება მოელის, იმიტომ რომ მას არ აქვს საშვალება თავი და-  
იცას, მას არ აქვს საშვალება თავის კულტურას მოუაროს; მას არ აქვს  
თავისი სახელმწიფო.

ერთი სიტყვით არ დარჩა არც ერთი მხარე ქართველი ერის არსებობ-  
ისა, რომელზედაც საქართველოს მტერთ იერიში არ მოქონდეთ. თვით ჩვე-  
ნი წარსულის დიდებულ ნაშთთაც კი არ ინდიდენ. ქართველი ერი უნდა  
აღდგეს ასეთი მდგომარეობის წინააღდეგ, გაიმართოს წელში და ამაყათ  
შესძახას მასზე მოსულთ: შეჩერდით! მე სიცოცხლე მწყურია! მე მხად ვარ  
თავი დაციცაო.

და რადგან ეს დრო აუცილებლივ დაუდგება ქართველ ერს, მას გზაც  
გარკვეული უნდა ჰქონდეს თავის მიზნისკენ.  
საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფო—აი რა იხსნის ქართველ ერს,

აი რა მისცემს მას საშვალებას ხელახლა ღირსეულად წელში გაიმართოს  
და ერთა შორის იყოს ერთი თავმოყვარე, ძლიერი კულტურით და კულტურით  
ფილი თავის შეილთა კეთილდღეობით.

დღემდის ქართველ ერთი წინსვლას გარეშე პირობებიც აფერხებდა: ურ-  
დოთა შემოსევანი და ძლიერი მტერნი მეზობლად. ურდოთა შემოსევანი  
დღევანდელმა კულტურამ შეუძლებელი გახდა, რადგან ყოველი ერთი და-  
აძინავა. სპარსეთი და ოსმალეთი, როგორც დესპოტიური სახელმწიფონი,  
უკვე ისტორიას ბარდებიან, ირლვევიან და მათ ნანგრევებზე შენდებიან  
ახალი ეროვნული სახელმწიფონი. დაგვიჩი რუსეთი. რა გვაკეშირებს ჩვენ  
რუსეთთან? რომელი არსებითი მხარე ქართველ ერთი ცხოვრებისა მოით-  
ხოვს რუსეთთან კაშირს? არც ერთი.

მოგეხსენებათ, დღევანდელ პირობებში ეკონომიური ურთიერთობა მე-  
ტად დიდ როლს თამაშობს. ვნახოთ, რა გვაქს ჩვენ საერთო რუსეთთან.  
საქართველოს ნაწარმოების გასაღებას მხოლოდ აბრკოლებს და აფერხებს  
რუსეთი. საქართველოს გაქვს უცხოეთის ბაზაზე შავი ქვა. მიღის რუს-  
ეთში? ისეთი მცირედი ნაწილი, რომ სახსენებლადაც არ ლირს. სამაგიე-  
როდ რუსეთმა ქართულ მარგანეცს გზა რომ შეუკრას და თავისი მე-  
ორე ლირსებიანის ბაზაზი უზრუნველყოს, ისეთი დიდი ტარიფი შემოიღო  
რკინის გზაზე, რომ ბრაზილიიდან მოტანა მარგანეცისა ინგლისში უფრო  
იაფია, ვიდრე ჭიათურიდან ზესტაფონში. და თუ ჩვენი წარმოება მაინც  
არსებობს, მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენი შავი ქვა ლირსებით პირველობს.  
აქ ადამიანი განხრას ქართველი ერთი მტერი უნდა იყოს, თვარა როგორ  
ვერ დაინახავს, რომ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი ექსპლოატაციის  
და რუსეთის გამდიდრების საშვალებად გადაქცეულა.

საქართველოს გაქვს აბრეშუმი, ისიც სულ ევროპაში მიღის. საქართ-  
ველოს გაქვს სიმინდი, ისიც ევროპაში მიღის, რუსეთი სიმინდის არ ხმა-  
რობს და მაში მისი ბაზარიც ამ ნაწარმოებისათვის დაკეტილია. საქმარი-  
სის გავთხსენოთ, როცა შიმშილობის დროს რუსეთმა აღკრძალა ხორბა-  
ლეულობის საზღვარ: გარეთ გატანა, სიმინდის ფასი დაეცა ხუთ შაურამ-  
დე. ნიგზის ხე, ბზა, ხე-ტყე, კვერცხი, ხილი, საზოგადოთ ყოველი ნა-  
წარმოები, რომელსაც ქართველი ერთი იძლევა, ევროპისაკენ იკვლევს გზას.  
და რამდენად საქართველოს საწარმოვან შემოქმედება აიწევს, იმდენად ევ-  
რობის ბაზაზე ჩვენი მონაწილეობა გაიზრდება. კედელი საქართველოსა და  
ევროპას შორის ოსმალოს სახით ინგრევა, საქართველო ისევ: ძველ გზას  
უბრუნდება, ის ისევ უერთდება ხმელთა შუა ზღვის ცივილიზაციას, რომ-  
ლითაც დღსაც კი მოელი კაცობრიობა იკვებება. საქართველოს საწარმო-  
ვან წინსვლადა განვითარება, ეს ევროპასთან კავშირის ზრდა — განვითა-  
რება.

ეგების რუსეთი გვწყალობდეს თავისი ნაწარმოებით? აქაც ჩვენ დაბრივე-  
ბული და დახაგრული ვართ. რუსეთმა მალალი ბაჟებით შემოფარგლა თა-  
ვისი საზღვრები, კარი ჩაუკეტა ევროპის ნაწარმოებს და ორჯერ და ხში-  
რად ათჯერ უფრო ძეირად ასალებს ჩვენში თავის ევროპის ნაწარმოებებ-  
თან შედარებით ყველაფრით უფრო მდარე საქონელს. საქმარისია ერთი  
მაგალითი მოვიყანოთ: რუსის შაქარი ჩვენში ფასობს გირვანქა არა ნაკ-  
ლებ სამი შაურისა, იგივე შაქარი კი საზღვარს გადასტილდება თუ არა,

ეფასობს ორ კაპეიკად. პოლიტიკურად დამონებული საქართველო რუსეთის აღმოჩენის შემთხვევაში მა აქცია თავის საშინაო ბაზრად და თავისუფლად ტყავს აძრობს ქართველ ერს. მაში რუსეთი აღნაირ ეჭიპლობარაციას ეწევა ჩვენში. ის ტყავს აძრობს საქართველოს, როგორც მწარმოებელს, ის ტყავს აძრობს საქართველოს, როგორც მხმარებელს.

მაში რამ უნდა მიგვიზიდოს რუსეთისაკენ? მეცნიერებამ? რუსეთის მეცნიერება ხომ სუსტია ყოველ მხრივ, ღარიბი, ცალმხრივია, განსაკუთრებით რაც შეეხება საზოგადოებრევ მეცნიერებას. მისი საკვები ევროპიდან მოდის და აქ თავისებურად შეკვეცილი ვრცელდება. საუკეთესო წიგნები რუსულ ენაზე მხოლოდ თარგმანია. რად გვინდა თარგმანი, როცა პირდაპირი წყარო ჩვენთვის უფრო ახლოა, რად გვინდა სხვისი ნაღები, როცა საზრდოზე ხელი ჩვენ თვითონ მიგვიწვდება? ან რად გვინდა ის „განათლება“, რომელსაც რუსეთი იძლევა? რუსეთის მთელი განათლება ეს ერთი დიდი ლაბორატორია მომავალ მოხელეთა დასამზადებლად. ჩვენ გვინდა ცოდნა ტეხნიკური, სასარგებლო, შემომქმედი, ამისთვის კი ევროპა დაუფასებელია.

თვით ევროპის ცხოვრება ერთნაირი ღრმად აღმზრდელი სკოლაა ქართველისათვის. ამას ისეც უნდა დავძინოთ, რომ ქართველის აზროვნების თვისება და საზოგადოებოივი მიღწევილება გაცილებით მეტს საზრდოს პოებს ევროპაში.

ეგების რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება მიგვიზიდავს? ეგების აქ სოციალურ საქმიანობის ნიმუშებს გავეცნობით? ეს ხომ მთლათ მასხრობა იქნება. ბარბაროსული, დესპოტიკური რუსეთი აბა ცუდის მეტს რას ასწავლის სხვას? რა აქეს მას პოლიტიკაში გარდა დაჩავრისა, დაწვისა და დარბევისა სხვა საშვალება! ეს მუდმივი შიმშილობის, სიბნელის და მათრახის ქვეყანაა. მას შიშით შექურებს დემოკრატიული ევროპა, არ მოგვედვას, არ წაგვლევას. რა თავისუფლება უნდა გასწავლოს იმ სახელმწიფომ, რომელმაც თდესლაც თავისუფლების მოყვარული კაზაკი გარდაქმნა ადამიანთა თავისებურ ჯიშათ. თუ რას წარმოადგენს ეს ჯიში ადამიანთა და რა სისასტრიკით ედგა ყოველ ხალხს მისი ამკლები თარეში, ეს ხომ ყოველ ჩვენანს მოქსენება.

ეგების რუსეთის კულტურული განვითარება გვიზიდავს? ვისაც რუსეთი შეუსწოლია ან და უნახას, მთლად დაცემული და გათახსირებული თუ არ არის, უსათუდ აღიარებს, რომ ქართველი ერი, როგორც ესეთი, როგორც მასსა, გაცილებით მაღლა სდგას თავის კულტურით, ვიდრე რუსეთის ერი. ქართველი საგვებით მხად არის განახორციელოს ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი საქმიანობა ევროპიული აზრით. მაში რა გინდათ ამ რუსეთისაკენ? არავითარი ინტერესი ქართველ ერისა, არც ეკონომიკური, არც კულტურული, მით უფრო პოლიტიკური არ მოითხოვს რუსეთთან ერთობას. პირიქით, რუსეთის ბატონობა მას სრესს ეკანომიურად, ხელს უშლის განვითარდეს კულტურულად, ამეჩავებს პოლიტიკურად. რუსის ბატონობა უსასტრიკესი განსაცდელი ქართველი ერისთვის!

ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებს ის უხეში ძალა, რომელსაც რუსეთის დესპოტია ეწოდება. მაგრამ აქაც გული საგულეს გვაქს. ქართველ ერს არა ერთი დესპოტია უნახავს და მათ დანგრევასაც მოესწრო. სტიქიური

აუცილებლობით მიმდინარე ერთა განვითარება ამ საკაცობრიო მაჯლაჯუნასაც მოულებს ბოლოს, ეს ქვეყნიერების უნდარმის დაწერება, დაშლება  
მაშ ქართველი ერთ, მოსწყდი ამ დღესთვის, მოსწყდი აზრით, მოსწყდი  
ყოველი კავშირით, იბრუნე პირი შენს მდიდარს ეროვნულ კულტურისკენ,  
გააპოხიერე ის მთელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწარმოებით და ისევ ამა-  
ღლლი, ამაღლდი როგორც შენს საკუთარ, ისე მთელ კაცობრიობის  
თვალში.

დღევანდელ ქართველს ორი გზა ულევს წინ: ერთია გზა დაცემისა, გათახსი-  
რებისა, სიკვდილისა, მეორეა გზა შემოქმედებისა, სიცოცხლისა, თავის-  
უფლებისა, დამოუკიდებლობისა.

კოფილან ერები და გამჭრალან. საქართველოს ბევრი ასეთი ერი ახს-  
ოვს.

რა არის ერის სიკვდილი? ეს არა ფიზიკური სიკვდილი, ე. ი. ერის შე-  
მადგენელ წევრთა ბუნებრივი გარდაცვლა. არა, ფიზიკური პიროვნება რჩე-  
ბა, ხოლო ის გვარდება, ის ჰერიტაჟს თავის საკუთარ სახეს და სხვა ერში  
ითქვითება. ერის სიკვდილი არებს საკუთარ ეროვნულ პიროვნების უარყო-  
ფა. ქართველ ერში, როგორც დამონებულში, დღეს ბევრია ისეთი ელემე-  
ნტები, რომელნიც მას დაღუპისაცნ მიაქანებენ.

ბევრი მისი შეიძლი სხვა და სხვა სამოსელში გახვეული მის წინააღმდეგ  
მეშაობს, უმეტესობა ამ რეცხვში, რასაკიორველია, გამორჩენისათვის, რო-  
გორც რასის მოხელე, ხელს უწყობს თავის სამშობლო ერის შებორკვას და  
ამ ხელობით იკვებება! რა საზიზრობაა! მაგრამ ქართველ ერს დღიდან  
რასის შემოსვლისა ჩვენში ბრძოლა არ შეუწყვეტია. ჩუმი უკმაყოფილებით,  
სიტყვებირი პროტესტით, კერძო პირთა თავდადებით, მასიური აჯანყებით  
ქართველი ერი ებრძის დამმონაცემელთ და ამით ცდილობს აღადგინოს თა-  
ვისი პილიტიკური პიროვნება.

ერი იბრძის თავის პოლიტიკურ პიროვნების აღდგენისათვის და რამდე-  
ნადაც ეს აღდგენა ხდება, რამდენადაც ქართველისათვის ირკვევა მისი ერო-  
ვნული პიროვნება, იმდენად ის უპირდაპირდება სხვა ერებს მასზე იერი-  
შით მოსულთ. მაგრამ დღემდის ქართველ ერს ვერ შეუქმნია მთლიანი  
ეროვნული პროგრამა და სისტემა ბრძოლისა.

ეროვნული სხვოვრება მეტად რთული მოვლენაა, ამიტომაც თვით ერო-  
ვნული საქმიანობაც მეტად რთულია, მოითხოვს დიდ წინდახედულობას,  
დიდ აწონ—დაწონას, ისე საქმის დაჭერას, რომ სადღეისო ჩვენებითი გა-  
მარჯვებისათვის შორეული მეტმისი არ იქმნს შელახული. თვით ბრძო-  
ლასაც მაშინ მიყვევართ მიზნისაცნ, როცა ის სისტემატიური, წინასწარ  
აწონ—დაწონილი და გაკვლეულია. ის გზა, რომელც დღემდის აირჩიეს  
ჩვენი სხვოვრების არამკითხე ხელმძღვანელებმა, იყო გზა მორჩილებისა,  
გზა დათმობისა, გზა სულიერ მონობისა. ისტორიამ უარყო ეს გზა. ყო-  
ველ ქედის მოხრას, ყოველ მორჩილებას ახალი მოთხოვნა მოჰყება, ქარ-  
თველი ერი თანდათან იმასაც კი ჰყარვავს, რაც წინედ მოვპოვებოდა. ჩვენს  
უარყოფთ ამ გზას. ვინც ქართველ ერის თავისუფლებისათვის არ ზრუ-  
ნავს, ვინც მის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის არ იბრძის, ის სამ-



შობლის მოღალატეა. ბრძოლა ეროვნულ თვითარესებობისთვის, ბრძოლა საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის აღდგენისთვის — ის დროშა ყველა ქართველისა, რომელიც სამშობლოს ემსახურება. ყოველი პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი საკითხი, რომელიც ჩვენ წინ წარმოსდგება, მხოლოდ ერთი პრინციპით უნდა გადიკრას, პრინციპით ქართველი ერის სარგებლობისა. რაც მის არსებობას ხელს უწყობს, რაც მის აღდგენას აჩქარებს, ის კარგია, რაც ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგაა, ის მავნეა. ესაა ჩვენი ძირითადი საზომი, როგორც ერთა შორის დამოკიდებულებაში, ისე საშინაო საქმიანობაში.

ქართველს, როგორც ყოველივე ერს, ჰყავს თავისი მეზობლები, არიან ერები, რომლთანაც მას ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება აქვს. პოლიტიკური სიმჩატე, უკეთესად ვთქვათ, სიჩრდეტე ბევრს ქართველს თვალს უბამს, აშინებს, საგნისთვის პირდაპირ ვერ შეუხელნია. მაშინ როდესაც სულ ბრმა თუ არა ადამიანი, არ შეუძლია აი დაინახოს, რომ კაცობრიობაში სწარმოებს უსასტკესი ბრძოლა ერთა შორის. ევროპის შესევაზა წყალობით თითქმის სულ ვაქრა წითელ კანიანთა რასა ამერიკაში, აგსტრალიაში მოისცენ ადგილობრივი მუხოვერებნი, აფრიკის ვეებერთობა ქვეყანა ეკრობილებმა დაინაწილეს, მხოლოდ აბაშეთი გადარჩა შემოსევას, ისიც იმიტომ რომ სასტკათ დაამარცხა იტალია, ოთხას მილიონიან ინდოეთს ფლობს არმოსტმილიონიანი ინგლისი. ბრძოლა რასათ და ერთა არამა თუ არ შეწყვეტილა, დღითი-დღე მწვადება. ეს ბრძოლა ჩვენშიც არსებობს. და როცა ჩვენ რომელიმე ერს შევეხებით, მასთან ჩვენი დამოკიდებულება მეტად ადვილი გამოსაკვლევი იქნება. თუ მეზობელ ერის და ქართველის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებიან, თუ საქართველოს და ქართველ ერის აღორძინება მეზობლისთვის არამა თუ მავნე, სასარგებლობაა, თუ ჩვენი ინტერესები პარალელურია და არა მოპირდაპირე, ასეთი ერი ჩვენი ბუნებრივი მოყვაშირეა. ჩვენ აი ვეძებთ კაცშირს იქ, სადაც ჩვენი მოპირდაპირეა. ვინც ჩვენ გვსპობს, იმას ვეძრდეთ, ვინც ჩვენ გვემშობლება, იმას ვეძმობით. აი ჩვენი გზა მეზობლებთან დამოკიდებულებაში.

იგივე პრინციპი სრულიად საქართვისა საშინაო ცხოვრებაშიც. ჩვენ არა ვართ ბიოლოგიურ ქართველთა მოტრეფიალე. ჩვენ არ ვისავთ ყოველ ქართველს, რომელმაც ქართული ენა ისის ან ქართულ ვარს ატარებს. განა ერთი და ორია ჩვენში, რომელსაც ქართული ენა იმისთვის ამოუღამს, რომ ქართველი ქირდოს, ლანძღოს ამბიროს ან და მიაწოდოს მას შეამიმისი მომწამვლელი? განა ერთი და ორი ქართველია, რომელსაც თავისი ნიკი, თავისი გამჭრიახობა და სიცოცხლე საქართველოს მტერთათვის შეუწირავს? არა, ჩვენ არ ვეტრეფით ქართველს მხოლოდ იმისთვის რომ ის ქართველია. ავწონ-დავწონთ ყოველ ქართველის მოქმედებას, მის ეროვნულ მუშაობას. ქართველს სამშობლო ერის ორგულს, მის ინტერესთა წინააღმდეგ მომუშავეს, ვემობთ, ვებრძვით, ესდევნით და, თუ საჭირო იქნება, კიდეც ესპობთ.

ქართველი ერი, როგორც ყოველი სხვა ერი, არა სოციალურათ ერთი მთლიანი ერთეული. მასში წოდებრივი დანაწილება საგრძნობელია, კლასობრივიც თანდათან თავს იჩენს. ყოველი წოდება, რომელიც თავის სო-

წარმოიდგინეთ ოჯახი, რომელიც სამი ძმაა, ორი გულმოიდგინე შერმოელი, ერთი კი სუსტი, სნეული. რა შედეგი მოსდევს ასეთ პირობებს? ორის ზრომის ნაყოფს, შემოქმედებას მესამის უსამარხა უკან სწევს, აქვეითებს და ამით ხელს უშლის მათ წინ წავიდენ. ამას კიდევ გაუძლებდით, ჩვენი მემამულენი მხოლოდ უსაქმობით რომ კმაყოფილდებოდენ. უძედურებაც ისაა, რომ ისინი საქმიანობენ და საქმიანობენ ისეთი უკულმართი გზით, რომელიც ქართველ ერის არც ერთ მტრებს არ შეუძლია. ჩვეულება გვაქვს, ვეძევერებით ერთს—ორს მემამულეს, რომლის მოქმედება მეტად წრეს გადასულია. ცნობილი გიორგი ამილახვარი არსებითად ისევე მოქმედიას როგორც ჩვეულებრივ ყველა დიდი მემამულე. მის საქმიანობას მხოლოდ ერთი სახე აქვს — ის კრებს დალას. ისაა ძველი მონგოლი, უცხო ქვეყანაში შეკრილი, უცხო მთავრობის მიერ ზურგ გამაგრებული. მას მუდამ მიაქვს ხალხიდან და არაფრის აძრუნებს, ისაა საეროვნო სიმღილრის მფლანგველი. ფლანგავს ხალხის ნამაგარს დალის სახით აღებულს, მამულს დაგირავებით და შემდეგ აღებული ვალი მძმე ტვირთად აწევს იმავე გლეხს და მასთან ერთად მთელ ქართველ ერს. ისაა საქართველოს ეკონომიკური ამკლები. ისაა უპარაზიტესი პარაზიტა შორის. დაუკიდრით ერთს მოვლენას საქართველოს ცხოვრებაში. მემამულეს ჩარჩი მუდამ უკან დასდევს. სადაც მემამულე ძლიერია, სადაც გლეხი უფრო დაჩაგრულია, იქ ჩარჩობაც უმალეს წერტილამდე აღწევს. თვით ჩარჩიბიტ ბინალრობენ დიდი მემამულების ციხე-კარშებთან. ერთი სახის პარაზიტის თან დასდევს მეორე სახის პარაზიტიშიც. თავაღა-აზნაურობა უარყოფითი ეკონომიკურად, უარყოფითია ეროვნულადაც. ჩვეულებრივ, ყოველივე უბედურობას, რომელიც ქართველ ერს თავს დასტეხია, გარეგანი მიზეზებით ვხსნით, მაშინ როდესაც უპირველეს ყოვლისა ეს მიზეზები ერის თვით შინაგან ცხოვრებაში მოიპოვებიან. და მართლაც ქართველ ერის პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვაში თავაღა-აზნაურობას უმთავრესი აღკილი ეჭირა. გამრავლებული იმდენად, რომ ქართველ ხალხს აღარ შეეძლო მისი რჩენა, ის ეძღვდა ახალ ასპარეზს სათარეზოდ და სარბევად, თავის თავის გასამდიდრებლად. შინ ქართველ ერს მან არაფრი დააკლო. ყიდა ქართველებს ტყვევებდ, მუდამ ომებს მართავდა ერმანეთს შორის და იყლებდა მცხოვრებლებს და რაკი შიგნით ნაცარცი არ ეყო, გარედ დაეგეშა. და აი მან დაინახა რუსეთი. თავაღი ამბობდა, რუსეთი დიდია, ომი ჩშირი აქვს, მოდი, იმას მივეკედლოთ, ჩვენც კარგი მეომრები ვართ, ვითარებოთ და გაგმდიდრდეთო. და მართლაც სამშობლოს დაცემისათვის ხელის შეწყობაში თავაღი თავაღს უსწრებს. საქართველოს პოლიტიკური არსებობა გახდა მსხვერპლი შინ დამშეულ ფეირდალთა გაუმაძრობისა. ფეოდალობამ სამათხოებრო ხელი გაუწოდა რუსის მთავრობას, გახდა მისი ყმა, წინ წამოუძლვა რუსის ჯარს და აიკლო თავისი სამშობლო; ის გახდა იარაღი

ქართველ ერის პოლიტიკური დამონაბისა. და რამდენაც ის ეროვნულად ფინანსურული უარყოფითი შეიქა, იმდენად ზურგს უწევნებს ქართულ კულტურას, იმდენად ენად იციწყებს ქართულ ენას, აბუხად იგდებს ქართულ მოქმედებას. სამაგიეროდ, ჩაფრიაბს, ბოქაულობს, მაზრის უფროსობს, გუბერნატორობს, აფიციონალობს, გენერლობს, კამაყოფილდება პირადათ და სრესს თავის ერს. ფეოდალობა ერთგული ფინას რუსის მთავრობისა. მან გაამტკიცა ეს ფინანობა და ქართველ ერის ლალატი, ამ ერის ასი წლის მონობა რომ იდლესასწაულია. დღეს ქართველი ერის უბედურებისა, დღეს ჩენ პოლიტიკურ დაცემისა; ამ უდიდესი უბედურების მოვანების დღეს, რომა ყოველი ქართველი ძაძით უნდა შემოსილიყო, თავად-აზნაურობა დაგეშილი ძალებითი აედევნა რუსის მთავრობას და მასთან ერთად ნადიმები ნადიმებზე გამართა, რათა საჯაროდ, საქვეყნიდ გამოეცხადებია, მე მოხარული ვარ, მე აღტაცებული ვარ, ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა რომ დაკარგა და უცხო ბარბაროსთა ბატონობის ხელში ჩაგარდაო. ამ სამარტინო საქართველისთვის მან საჩუქრად მიიღო მცირედი ნასურალი, წლიურად ორმოცი ათასი მანეთი. სამაგიეროდ ყოველ წელიწადს უზიდავს ძღვენს რუსეთს ორმოცდათი ვაჟის სახით, რომელიც ბავშვობიდანვე მომწყვედეულნი რუსის კორპუსებში სრულიად ეკარგებიან სამშობლოს. უბედურო საქართველოგ! როდის დაგიდგება ის დრო, რომ სხვა და სხვა და სპორტებს აღამიანის სახით ძღვენი არ უზიდო? თავად-აზნაურობა უარყოფითია ეკონომიკურად, გამხრწნელია სოციალურად, მოლალატეა ეროვნულად. ესაა ერთი დიდი ვეზაპი, რომელიც ქართველ ერს წინ გადაღიბებია და უცნებება: ან მომსპე და თავს უშველე, ან დაიღუპე! ქართველი ერი დიდი ტანჯვით, მაგრამ მასაც მოინელებს. არავინ იფიქროს, თითქო ჩენენთვის სასიამოგნო იყოს ასე დახსასითება ჩენი ფეოდალობისა. სრულიადაც არა. მაგრამ ჩენ ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტეთ საჯაროდ ვალიარით ყოველივე სენი ქართველი ერისა და შეებრძოლოთ მას. ოპერატია აუცილებელია, იმის იმედიც გვაქსს, რომ ჩენი ძეირტასი ავადმყოფი განკურნებული და გამაგრებული გამოვა ამ ბრძოლიდან. ამას-თანავე შეენიშნავთ, რომ ჩენ საერთოდ ვეხებით წილებას და სრულიად არ უარყოფთ, პირიქით დიდად ვაჭასებთ ამ წილებიდან კერძო პირთა სამშობლოს წინაშე დიდ დვაწლსა, არც მას და გვკავს ის წერილი აზნაურობა, რომელიც უკკე შეუდგა მამულის დამუშავებას, ვაჭრობას, ხელოსნობას და სხვაგარ დადებით სოციალურ საქანობას.

რაც შეეხება ყოველივე საკუთრებას მოკლებულ ჭუშას, პროლეტარს, რომელიც მარტო დღიური ხელფასით სხვერობს, ასეთ ადამიანთა რიცხვი ჩენში მეტის მეტად მცირედია. მაგრამ მიუხედავად ამისა მუშა ყოველგან მოითხოვს თავისაღმი ყურადღებას, თავის ინტერესების დაცვას. ჩენ სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ის თეორია, თითქო განვებას, ანუ როგორც ამბობენ, სხვორების ობექტურს პირობებს მუშა კაცობრიობის დასახსნელად აერჩიოს. ეს იგივე ძელ ებრაელთა შეხედულობაა. მათ ლრმათ სწამდათ, თითქო ერთად ერთი ერი ღვთის მიერ საგანვებოდ არჩეული ყოფილიყოს ებრაელობა, თითქო ღმერთი მხოლოდ მას ესაუბრებოდეს, მას ისავდეს, მას უძღვდეს. პროლეტარებსაც შეუძლიათ ასე იფიქრონ, მაგრამ ეს მათი ფიქრი ისევე უსაფუძვლო ფიქრია, როგორც ებრაელებისა.

რადგან არც ერთი დარგი კაცობრიობის შემოქმედებისა, არც მატერიალურ არც გონიეროვან სფეროში ასეთ პირველობას პროლეტარს არ უთმობოს თანა-საკირველია, როგორც შემოქმედი, პროლეტარი დიდი მონაწილეა თანა-მედროვე სხვორებისა, მაგრამ მისი პრეტენზიაც ამ მონაწილეობით განი-საზღვრება. და რამდენადაც მცირედი არ უნდა იყოს პროლეტართა რიცხვი ჩვენში, ყოველი დემოკრატია მოვალეა იზრუნოს მის კეთილდღეობისათვის, მხარი დაუჭიროს მას ეკონომიურ მოთხოვნილებებში, მხოლოდ ისე რომ თვით წარმოება არ დაირღვეს და მსხვერპლად არ შეეწიროს წრეგადასულ მოთხოვნას. ამასთან თუ საერთოდ საქართოელოს დამოუკიდებელი არსებობა სასარგებლოა მთელი მისი ეკონომიური საქმიანობისათვის, ის აუ-ცილებლივ სასარგებლოა მუშაისთვისაც. თუ ეს დამოუკიდებლობა ხელს შეუწყობს ქართველი დემოკრატიის პოლიტიკურ და კულტურულ ამაღლებას, ისევე ხელს შეუწყობს ქართველი მუშის ამაღლებასაც. ქართველი მუ-შა არსებითად დაინტერესებულია სამშობლოს თავისუფლებაში. და თუ დღეს მისი სახელით სხვები დასტინან და ამტირებენ ქართველ ერს, თუ სხვები მის ზურგს ამოფარებულნი ქართველ ერს გაქრობას და მოსპობას უშადებენ, ეს მხოლოდ დროებითა, რადგან მუშას, რაგორც ის ეთს, ჯერ არ ჰქონია ჩვენში საშვალება ამ დიდ საკითხს ჩათიქრებოდა და ლრმა აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყვიტა.

დაგრძნა დიდი უმრავლესობა, ესაა ქართველ ერის დემოკრატია: ხელო-სანი, ვაჭარი, სოფლის წერილი მესაკუთრე. მაგრამ ვიდრე მას შევეხებოდეთ საჭიროა ვთქვათ ორიოდე სიტყვა შუა კლასზე, რომელსაც არ აქვს გა-ნაზღვრული სახე და თავის არსებობაში შეიცავს მრავალგვარ მიდრევი-ლებას. ესაა ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია.

ინტელიგენცია ნიშნავს გონიერივად გავარჯიშებულ ხალხს. შეცდომაა ვიფიქროთ, თითქო უმრავლესობა სწავლობდეს სოდნისთვის. არა, სწავლ-ობენ ისე, როგორც ხელოსანი სწავლობს თავის ხელობას. რა ხელობაა ეს ხელობა, რომელსაც ინტელიგენცია ემსახურება? ამ მხრივ ინტელიგენცია მრავალ-ფეროვანია და ამისდა მიხედვით მისი მნიშვნელობაც სხვა და სხვა ნა-ირია. მაგრამ ჩვენ მაინც შევეძილია ამ ნაწავლ ხალხში გამოვნახოთ უმრა-ვლესობა, დიდი უმრავლესობა და მკაფიოდ დაქართულ მისი საზოგადოე-ბრივი ლიტებულება. მოგეხსენებათ, ნაწავლი ხალხი დასავლეთში ათასჯერ მეტია შედარებით, ვიდრე ჩვენში. მაგრამ აქ არავინ ყვირის ამ ხალხშე, და მოქალაქე მეჩექმე არავითარ უფლებას არ დაუთმობს და თავს უფრო დაბლა არ გძნობს. რომელიმე ნაწავლთან შედარებით. პირიქით, აქ წინ სდგას ერის შემოქმედი ნაწილი. მოვიყვანთ ორიოდე სიტყვას ფრანგ ბუ-ისისას ამერიკის შესახებ: „ატლანტის გაღმა თქვენ ვერ ჰპოებთ ნასახაც ჩვე-ნში აღმოუფხვერელ სრულმორწმუნობისა ხელით სამუშაოს წინააღმდეგ. არა-ვინ ფიქრობს, თითქო ის დამამცირებელი, ან პატივამხდელი იყოს. პროფე-სორი, მოსამართლე თავის თავს გონიერივად უმაღლესად არ სთვლის გან-ვითარებულ მუშასა და ქარგალზე. ბიუროში სამსახური კაი ხანია მისი საზოგადოებრივი ღირებულობის მიხედვით დამკავიდრებულია და მაქსიმალუ-რად მისი კვირეული ხელფასი უდრის 50-დან 75 ფრანგამდის, მაშინ რო-დესაც კალატოზი, დურგალი იმავე ღროს სამუშაოში იღებს 120 ფრანგს. ყოველი ამერიკელის წინ სდგას მშრომელი; ამერიკელი ადამიანს იმის მი-

ჩედვით აფასებს, თუ რა შეუძლია მას შექმნას და გაასაღოს, ის უარყოფს მოვალეობას, თითქო დაპლომი რამე გონიერივ კეთილშობილებას იჩ-ლეოდეს". სულ სხვაა ჩენები. და აქ იხატება რუსეთის გამათხასირებელი გავლენა ჩენენ ცხოვრებაზე. რუსეთი ცენტრალისტური მოხელეთა ქვეყანაა. მოხელე, ერის კაცი თუ სასულიერო განაგებს მთელ რუსეთს, ისაა მთელი ქვეყნის ბატონი. და ისტორიული კანონია, ყოველი ბატონი ცდილობს ზნეობრივადაც დამტკიცოს თავისი უპირატესობა. სწორედ ამ ნიადაგზე შეიქმნა ის გაზვიადებული წარმოდგენა ნასწავლ ხალხზე, რომელიც რუსე-თმა სხვა უბედურობასთან ერთად უძლენა საქართველოს. დროა აეხადოთ ამ ნასწავლ ხალხს ეს ფარისევლური პირბადე და ჩავაყონოთ ის ნამდვილ კა-ლაპოტში. ჩენი ინტელიგენცია თავის უმრავლესობაში წარმოადგენს მო-მქმედ ან სათადარიგო ჯარს მოხელეთა. ხოლო მოხელე არის მთავრობის აუგინტი, ე. ი. ის არის იარალი ქართველი ერის დაცემისა და განადგურე-ბისა. მისი მანებლობა ამითაც არ განისაზღვრება. ის არის მორჩილების, ქე-დის მოხრის, ქვემდრობის წარმომადგენელი. ეს მისთვის აუცილებლო-ბაა. მაგრამ ის კი არ ამბობს, მე ვეკემძრომობ ჩემი პირადი სარგებ-ლობისთვისო, არა, ის ხალხის წარმომადგენლობას ჩემულობს და ხალხს ეყბნება, მე შენთვის ვზრუნავ, ვეკემძრომობ შენი გულისთვისო, შენც ჩემ-თან იყავი, გვერდში ამომილექ, ესაა შენი ხნის ერთად ერთი გზაო. სწო-რედ რომ დიდი უბედურობა ეს მოვლენა ქართველი ერისთვის. მისი ნა-სწავლი ნაწილი ისეთი ბუნებისაა, რომ ვერ იქმაყოფილებს თავის ინტე-რესებს ქართველ ერის შინაგან ცხოვრებაში და შხამად იქცევა თავის სამ-შობლოს არსებობისთვის. ჩენ ნასწავლ ხალხს მეორე ნაკლი, ასე ვთქვათ, მექვიდრეობითი ნაკლი აქვს. ის უმრავლესად თავად - აზნაურულია, ე. ი. ისეთი წრიდანაა, რომლის დამახსიათებელი თვისებაა უსაქმურობა, უი-ლაჯობა და საზოგადოებრივი სიმჩატე. ასე რომ დიდი უმრავლესობა ჩენ-ი ნასწავლ ხალხისა სწეულია მექვიდრეობით, ეროვნულ — უარყოფითია თავისი სოციალური საქმიანობით.

ამ გვარად ქართველ ერს მეორე დიდი საკითხი დაუყენა დღევანდელმა ინ-ტელიგენციამ: იძულებული ვარ შენ წინააღმდეგ ვიმოქმედო, შევრცვნა შენი ენა, შევრცვნა შენი პოლიტიკური სოფლმხედველობა, შენი ზე — ჩვეულება, შენი კულტურა. გინდა გემსახურო? შესპალე ის პირობები, რომელიც მაიძულებს ასე მოვიქცე, შექმენი შენი საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება, შექმენი საკუთარი აღზრდის სისტემა, შეგუებული შენს კულ-ტურასთან და ისტორიასთან და მეც შენთან ვიქნებით. დღევანდელი ნას-წავლი ხალხი თავის უმრავლესობით ქართველ ერს უპირდაპირდება. სა-ჭიროა შევიგნოთ ეს. საჭიროა ქართველი ერი გძრძოლოს მას, ვინც მის წინააღმდეგ მიდის. ბრძოლა მაშინაა ნაყოფიერი, ნამდვილი, როცა ის შემოქმედებითია, ე. ი. თქვენ ქმნით და ამით არღვევთ წინააღმდეგ მომა-რთულ ძალას. შემოქმედება ქართველ ერისა უნდა გამოიხატოს საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოპოვებაში. და რამდენადაც ქართველი ერი საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებას შექმნის, იმდენად მისი ნასწავლი შვილე-ბიც მის ეროვნულ ფარგალში ჩადგებიან. დღეს მოპირდაპირენი და უარ-ყოფნი ქართველი ერისა, მაშინ მისი ერთგული მოსამსახურენი იქნებიან. უმაღური ვიქნებით საგსებით ხელი ვერათ ქართველ ნასწავლ ხალხს.

დღითი დღე ნასწარელთა რიცხვში შედის დემოკრატიული ნაწილი. ბევრი  
აქედან ითქვიფება აზნაურულ მოხელეეულ ინტელიგენციაში, მაგრამ ბევრი  
რი ვერ შორდება თავის წარმოშობ ხალხს, ზიზღით შეიძრალებული შეა-  
გვრელთა მიმართ ის ჩაგრულთა წრეში დგება და მასთან ერთად ეწევა  
მძიმე ეროვნულ საქმიანობას. ის ლიტერატორობს, მაგრამ ლიტერატო-  
რობა მისთვის არ არის ორპირიანობა, ის არაა ქართველ ერის მტერთა  
სამსახურში და ჩუმად ლექსის კი არ სწერს, არა, მისთვის ლიტერატო-  
რობა უარყოფაა პირად ბედნიერებისა, ტანჯვაა, ტანჯვა თავის სამშო-  
ბლოსთვის. ის ჩარევულია ხალხის კონკრეტული შემოქმედებაში და გადა-  
ქს ხალხში ცოდნა სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო, აწყობს კომპა-  
რაციებს, სახალხო კრედიტს, იბრძებს ქართველ ერის პოლიტიკურ უფ-  
ლებისათვის, ის ხალხთან ერთად მუშაობს, ის არსებითად ეროვნულია.  
და თუ ჯერ—ჯერობით მისი ძალა და მნიშვნელობა სუსტია, თუ მასთან  
მისი პოლიტიკური შეგნებაც მოკლებულია ჯეროვან სილიმავეს, ეს აიხს-  
ნება იმით, რომ მას არ აქვს საკმარისი მომზადება შეგუებული ჩევნების ერო-  
ვნულ—ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

დაგვრჩა ქართველი ერის დიდი უმრავლესობა, მთელი დემოკრატიული  
საქართველო. ესაა წვრილი მესაკუთრე სოფლად და ქალაქად სხვადასხვა  
სახით. მას ჩვენ ვუწოდებთ დამოუკიდებელ მწარმობებელს. დამოუკიდებე-  
ლი მწარმოებელი ის ადამიანია, რომელიც თავს ისე იკვებავს, რომ არც  
ქრისტიანობს დღიურ მუშას, არც თვითონ მიღის საქირაოდ. შეიძლება ის  
ძალიან ვერ გამდიდრდეს, მაგრამ მას ვერც იმას დასწავებთ—სხვისი შრო-  
მით მდიდრდებით. ყოველი დემოკრატიის საფუძველი ყოველ ქვეყანაში,  
ყოველ ერში სწორედ ეს დამაუკიდებელი მწარმოებელია.

ჩვენ ვიცავთ წვრილ საკუთრებას სასოფლო მეურნეობაში, როგორც  
ერთად ერთს თანამედროვე წინსვლით სახეს ინტენსიურ მეურნეობისა და  
როგორც საფუძველს ჩვენი ერისა. ჩვენ არა ვართ კერძო საკუთრების ზე-  
პირი მაღმერთებელი. როგორც კერძო, ისე საზოგადო საკუთრება ისტო-  
რიული მოვლენაა და მას აქვს მხოლოდ შედარებითი ღირებულება. ჩვენ  
უნდა მივემხროთ იმ სახეს საკუთრებისას, რომელიც ახორციელებს მაქსი-  
მუმს ეროვნულ შემოქმედებისას. იყო დრო, როცა საზოგადო საკუთრება  
არსებობდა, ეს იყო ის პირველყოფილი ხანა, რომელსაც ასე ზღაპრულად  
ასწერს ბევრი უსაქმო უტოპისტი და ამავე დროს ივიწყებს, რომ ეს იყო  
დრო უკიდურესი ბარბაროსობისა, როცა ადამიანი ადამიანზე ნადირობდა  
და მათიანად შეექცეოდა მის ხორცი. წვრილ კერძო საკუთრებას ჩვენ იმი-  
ტომ ვიცავთ რომ ის დღეს პოლიტიკურად ეთანაბრება არა დესაოტიას,  
არა ოლიგარხიას, არა სენტრალისტურ მანქანას, არამედ დემოკრატიას,  
რომელიც იძლევა მაქსიმუმს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შემოქმედები-  
სას. ის პროგრესულია ეკონომიურადაც. წინასწარ ჩვენ აღვნიშნავთ ერთს  
მეტად საგულისხმიერო მოვლენას. ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში წვრილ  
საკუთრებათა რაოდენობა სასოფლო მეურნეობაში მრავლდება, ხოლო  
სხვილ საკუთრებათა სივრცე და რიცხვი მცირდება. რამდენად სოფლის  
მეურნეობა მაღალ საფეხურზე აღის, იმდენად დიდი მამულები იზღვევა  
და წვრილი საკუთრება იყიდებს ფეხს. მაშ აშკარა, წვრილი საკუთრება  
მეურნეობაში პროგრესია. რაოდმა, იკითხავთ თქვენ. ყოველი ფორმა

მეურნეობისა მაშინ ცილინდრის და წინ მიდის, რომა მას შეუძლია კავშირის გადასაცემა და სარგებლობის მეცნიერებით. თუ თქვენი ეკონომიკური საქმიანობა ვერ სარგებლობს საერთო ტეხნიკური წინსვლით, ის ამით უკვე სასიცელილო ბოძება გაკრული. მაგრამ ნურავინ იფიქტებს, თითქო წარმოებაში ადამიანის გრძნობასაც არ ქონდეს მნიშვნელობა. რამდენადაც მუშა სიყვარულით ეპირობა თავის საქმეს, იმდენადაც მისი შრომა ნაყოფიერია. ეს ორი ელემენტი ტეხნიკა და მშრომელის სიყვარული საოპრად გარმონიულად ერთდება წვრილ სასოფლო მეურნეობაში.

მეურნეობა ყოველთვის დამყარებულია ადგილობრივ ჰაევის პირობებზე. აქ ადამიანის გავლენა განსაზღვრულია. აშკარაა, ვაზს ვერ მოიყვან პოლუსზე. საქართველოს ბუნება შექმნილია მაღალ კულტურის მეურნეობისთვის. პური და სიმინდი თუ მოყავს ქართველს, ეს მხოლოდ იმას ვგიჩენებს, რომ ჩვენი მეურნეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. ჩვენი მეტად ნაზი ბუნება საშვალებას გვაძლევს პურეულის მოყვანა დაეუთმოთ სხვა ქვეყნებს, სადაც თვალუწვდენებლი ეწრები სხვა კულტურისათვის უვარებისი. ჩვენ უნდა მოგვყავდეს ლეინო, ხილი, აბრეშუმი, ბამბა, თერმონია და სხვა მაღალ კულტურის ნაყოფი. ხოლო ზემოხსენებული კულტურა ისეთია, რომ აქ ადამიანის სიყვარულს, ადამიანის გარჯას, მის გულის ურს მეტად დიდი მნშვნელობა აქვს. ისარგებლეთ ყველა ტეხნიკურ საშვალებებით და ზედ დაურთეთ ადამიანის შემოქმედებითი სული. აი სწორედ აქ მიიღებთ შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმს. და თუ წვრილ საკუთრებას მოუწყობთ შემძებ და გამსაღებელ ამხანაგობებს, სამეურნეო კრედიტს, თქვენ სრულიად უზრუნველყოფილი იქნებით.

პროგრესიული ეკონომიკური მხრით, პროგრესულია ეროვნული მხრითაც. ერის ქონებრივი ამაღლება ერთი ძირითადი საფუძველთაგანია მისი საერთო ამაღლებისა. ამასთან ტერიტორიალური საკითხი ქართველ ერისთვის არის არსებობის საკითხი. ერთად-ერთი ელემენტი, რომელიც ამ ტერიტორიას მაგრად ჩასჭიდებია, არის ქართველი წვრილი მესაკუთრე. სადაც ის ზის, იქ ქართველი ერი უზრუნველყოფილია. სადაც სხვილი მემაგულე თარეშობს, იქაც თუ ვინმე მიდის, ეს წვრილი მესაკუთრეა. აქ აშკარაა, ვინ უნდა გაამხნეოთ, ვის უნდა მიეკედლოს ყოველი ქართველი, რომელსაც სურს თავის სამშობლოს, თავის ერს, ერს დემოკრატიულს ემსახუროს.

წვრილი საკუთრების ფორმა სასოფლო მეურნეობაში არამაც თუ ხელს არ უშლის, არამედ პირდაპირ აუცილებლად თავის განვითარებისათვის მოითხოვს — ისეთი დარგი, რომელსაც საერთო მნიშვნელობა აქვს, საერთო საკუთრებად იქმნას აღიარებული, ასეთია ტყე, საბალახო, მიმოსკლის საშვალება, საერთო მნიშვნელობის წარმოება, როგორც ელექტრონი და სხვა.

ხელოსნობა ქართველ ერში დასაბამიდანვე იყო განვითარებული. მართალია, მეცხამეტე საუკუნე ჩვენი ხელოსნობისთვის მეტად უკულმართი გამოდგა, მაგრამ მაინც ხალხი თან-და-თან ლონიერდება და ხელოსნობა ისევ ფეხზე დგება. აქვე შევნიშნავთ, რომ ის ვეზაპი, რომელსაც სამრეწველო კონსენტრაციის კანონს უწოდებენ და რომელიც ბეკრ ჩვენ უსაქმეურ ინტელიგენტისთვის სიმბოლოდ სარწმუნოებისა გარდაიქცა, რომელსაც უნდა ჩაენთქა წვრილი წარმოება, ევროპის სხვორებამ უარყო, ის მართალი არ გა-

მოდგა. მით უფრო არ აქვს და არც ეჭნება მას ადგილი ჩვენში, წერილ  
საკუთრების ქვეყანაში. პრაგერსი ტეხნიკის ენაზე ნიშნავს ცოცხალ ქალა  
ის მაგიერ მკვდარი ძალის გამოყენებას. რამდენად ადამიანის მაგიერ ჩვენ-  
მანქანას ვმოშვებთ, იმდენად წარმოება პროგრესიულია. წინეთ, რომა  
მანქანათა მამოძრავებელ ძალად მარტო ორთქლი იყო, ბუნებრივი იყო  
დიდი ქარხნების დაარსება, წარმოების ერთ ჰერის ქვეშ თავის მოყრა,  
რაღაც ორთქლის ძალის სივრცეშე გადაცემა არ შეიძლება. მაგრამ აი  
ვაჩნდა ელექტრონი, მასთან ერთად ტეხნიკამ ელექტრონის ძალის შესაძე-  
ნად მდინარეთა ძალაც გამოიყენა. ელექტრონის ენერგიის გადაცემა შეგი-  
ძლიათ ძალიან შორს, მდინარე გაწვდით მუქი ძალას. თუ საქართველოს  
მდინარენი ურგებნი არიან როგორც სანაკოსნო ან სათევზაო საშვალებანი,  
სამაგიეროთ ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება იმდენი ძალა, , ორთრი ნაციირი-  
სა, “ როგორც მას ექიმაში უწოდებენ, რამდენიც ჩვენშია. საკარისია ქა-  
რთველმა ერმა გამოიყენოს სამი-ოთხი მდინარე, რომ ყოველ ოჯახს, ისე  
როგორც შვეიცარიაში, სახლში ჰქონდეს ელექტრონის ენერგია, რამდე-  
ნიც მას მოუწდება. მაშინ ხელოსნობაც სულ სხვა ფორმას იღებს. გაშინ  
სახლში, ვთქვათ, აბრეშუმის და შალის დამუშავება ტეხნიკურადაც მაღალ  
წერტილზე სდგას და იმავე ღრუს ეროვნულ კულტურასაც ემსახურება და  
სრულიად არ მოითხოვს იმ გაპროლეტარებას, რომელსაც ჩვენში ასე ბე-  
ვრი მოტრფილე ყავს. ქართული ხელოსნობის გაძლიერება ნიშნავს ქართ-  
ველი ერის, ქართველი დემოკრატიის გაღონიერებას, ზრუნვა მისთვის არის  
ზრუნვა სამთობლის აყვავებისათვის. ხელოსანი შემოქმედია და როგორც  
ასეთი, ძვირფასი წევრია იმ ქართული დემოკრატიის, რომელიც იყავს,  
ანვითარებს ქართულ საქმინობას, იბრძვის ქართველი ერისთვის და ქმნის  
მის მომავლს. ხელოსანი ქალაქედაც არის და სოფლადაც.

შევეხოთ საკუთრივ ქალაქები ჯერ—ჯერობით საგარიო  
ცენტრებს წარმადგენენ. ისტორიულმა ბედმა ჩვენში ვაკრობა სხვა ერთა  
ხელში ჩააგდო და ამით ქართველი ერი დიდ ხიტაზში ჩააყენა. ჩვენთვის  
დღეს სხადხედ—უცხადესია, რომა ქართველ ერის პოლიტიკურ დამოუ-  
კიდებლობას განსაღელის დღე დაადგა, საქართველოს ქალაქები ქართველ-  
თა ხელში რომ ყოფილიყო და არა უცხო ერთა, რომელიც არამაც თუ  
არ ცდილობდენ თავხედ ფერდალობის ალაგმას, არამედ ხელს უწყობდენ  
საქართველოს დაცემას, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ისეთი არ იქნე-  
ბოდა. ეს კარგად ესმოდა დიდებულ პოლიტიკოსს სოლომონ ლეონიძეს,  
რომელიც იზიდავდა იმერეთიდან ხელოსნებს თბილისისკენ და ცდილობდა  
დედა-ქალაქში ქართველ ვაჭრების და ხელოსნების გამრავლება—გაძლი-  
ერებას. ეს საკითხი დღესაც ვერა გადაჭრილი. ჩვენთვის ნათელია თუ ქარ-  
თველი ერი ქალაქში ვერ გამაგრდა, ის მოსპობილია, ის მუდავ სხვისი  
მონა და მოსამსახურე უნდა იყოს, ის უნდა იყოს მონა პოლიტიკური,  
მონა ეკონომიკური, მონა კულტურული. ბევრი უმეცარი გაიძახის, თით-  
ქო ქართული კულტურა მეტად სუსტი იყოს. ეს საზიზური ტყუილია.  
ქართველი მშვენიერი მეურნე და მოსაქმეა, ხშირად მისი ნახელავი დაწი-  
ნაურებულ ქვეყნების ნაწარმოებსაც არ ჩამოუგრძება. მაგრამ მისი უბე-  
დურება ისა, რომ ქართველი უმთავრესად მწარმოებელია, მწარმოებელი  
კი დღევანდელ პირობებში გამსალებლის მონა. შუაშავალი მწარმოებელ-

სა-და მომხმარებელს შორის ბატონობს ორივეზე. ყვლეფს პირველს უკიდურეს დევის დროს, ყვლეფს მეორეს გაყიდების დროს. და სწორედ ეს შუამაგალი უცხოა ჩეენში. ის მდიდრდება, მაგრად იკიდებს ფეხს ქალაქ ადგილს, ამითაც არ კმაყოფილდება, სოფლადაც გადადის და ხელში იგდებს ქართველების მამულებს. ის გაბატონებული ქალაქად, ცდილობს გაბატონდეს სოფლად. გალანიერებული პიროვნულად ლონიერდება სოციალურად და მოქმედებს ქართველი ერის არსებობის წინააღმდეგ. რასაკეირველია, უპირველესი ჩეენი ცდაა სტულიად მოისპოო შუამაგალი, რისთვისაც ვაარსებო გამსაღებელ ამხანაგობებს, მომხმარებელ კოოპერაციებს, მაგრამ ჩეენ იმავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ვაჭრის საზოგადოებრივი ფუნქცია ჯერ კიდევ დიდ სიცოცხლის ძალას შეიტავს. ამ შემთხვევაში მთელი ჩეენი ყურადღება ქართველ ვაჭრისკენ უნდა იყოს, მით უმეტეს როცა ის წვრილი ვაჭრია. მას უნდა შეუწყოთ ხელი, მოუწყოთ კრედიტი, მოუწყოთ საქონლის საზოგადო საწყობი. ქართველი წვრილი ვაჭრი დემოკრატია და ქართველ ხელოსანთან ერთად ძლიერი ეროვნული ელემენტია ქალაქად. ქალაქად ქართველობის გაძლიერება არა მარტო ეკონომიკური საკითხია. ქალაქად ქართველების გაძლიერება ნიშნავს ჩეენს ყოველმხრივ გაძლიერებას. აქ თავს იყრიან კონცენტრივი კულტურის წარმომადგენლონი. აქაა მწერალი, მეოსანი, პუბლიცისტი, მხატვრი, არტისტი, მწიგნობარი, მეცნიერი, პოლიტიკოსი. აქაა აზრთა დულილი და შეჯახება. აქ გვესაჭიროება ჩეენ ის სოციალური არე, რომელიც ინდივიდუალურ შემოქმედებას ასაზრდოებს და ისტორიულ ეროვნულ ფარგალში ამჟამებს. ამიტომაც ქალაქი ის ციხეა, ურომლისოდაც ქართველ ერს წინსვლა არ შეეძლება. ეს დიდი ხანია იგრძნო ქართველმა ერმა. ამ გრძნობას სოლომონ ლეონიძე განსაზღვრულ პოლიტიკურ გამოხატვას აძლევს. ასი წლის განმავლობაში ქართველი ერი უკვე პოლიტიკურად დამონცხული, მიუხედავად აუტანელ პირობებისა, განაგრძნობს ლეონიძის გზას. საქართველოს ქალაქები თანათან ქართულ სახეს იღებს. საჭიროა ამ მიღებელებას მიეცეს სისტემა, ის გაძლიერდეს. ქართველი დემოკრატია ძლიერი სოფლად და ქალაქად, შრომა სისტემა-ტიური და აწონ-დაწონილი აი რა უნდა გვაფიქრებდეს ჩეენ.

ამგვარად ჩეენ გავითვალისწინეთ ჩეენი ერის შინაგანი შემადგენლობა, გავითვალისწინეთ ქართველ ერის სხვადასხვა წოდებათა ეროვნული ღირებულობა. საკაპობრიო ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, დაინახავთ, რომ ერი შეიგნით წოდებებად გინდ კლასებად დაყოფილი ერთსულოვნური იქცევა გარეშე მტრის მოგერებაში. როცა სამშობლოს განსაცდელი მოელის, მაშინ თავადი, გლეხი, მუშა—ყველა ერთდება და საერთო ძალით იცავს სამშობლოს. როცა გერმანია საფრანგეთს დაეცა, მას წინ დაუხვდა არა ფრანგთა წოდებანი, არამედ მთელი საფრანგეთი; ასევე დაუბირდაპირდა უნგრეთი ავსტრიის. ასეა ყოველგან, ესაა ისტორიის საზოგადო კანონი. მაგრამ საუბედუროდ ამ კანონს მხოლოდ ჩეენში არ აქვს გასავალი. შავი რაზმი, რომელიც ქართლის თავადაზნაურობამ შექმნა და რომელსაც საქართველოს დანარჩენი თავადაზნაურებიც შეურის თვალით უსქეროდენ, ეს შავი წეტრილია ჩეენ ეროვნულ ცხოველებაში. წოდება, რომელიც წლითი წლობამდე, შეიძლება, საუკუნოებითაც სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედებს, ვერც დღეს მოიშლის თავის დუხშირ გზას. ქართველ ერის უმრავლესობა

წვრილი მესაკუთრე, დემოკრატია, აი ვინაა დღეს ქართველ ერის შემცველების და წინმსვლელობის მატარებელი. ამ დემოკრატიის გამაგრება ეკონომიკურად, გაძლიერება იღეთურად — აი რა ჩევნი მიზანი. ევ მიზანი სრულიად ეთანაბრება ჩენეს ეროვნულ იდეალს, რომელსაც პქმნის მხოლოდ კლასი შემოქმედი. ეროვნულ თვითარებობის და ხალხის, დემოკრატიის ინტერესების დაცვა აი რა ჩენ დროშანე დაწერილი.

მიზნის მიხედვით ჩევნ თვალწინ იხატება მთელი სისტემა საშვალებათა, რომელთა შემწეობით დემოკრატიული საქათრველო მიაღწის თავის დამოუკიდებლობას. ამ საშვალებათა შესახებ ჩევნ შემდეგში გვექნება ლაპარაკი. მხოლოდ ერთს შეენიშნავთ აქვე. არც ერთს ერს არ შეუძლია არც განთავისუფლება, არც თავის დაცვა, თუ ის მხად არ არის იარალით ხელში აღდგეს, როგორც მტრის უდელის მოსამზრებლადი სე თავის პიროვნების დასაცელად. მეორე, ქართველი ერი ისტორიულად იგერიებს მაზე მოსულ მტერთ. მისი ეროვნული ბრძოლა მხლოდ თავის დაცვა, ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლა ყოფილა და იქნება მუდამ უმშვენიერებისი ფურცელი კაცობრიობის ისტორიისა. ჩევნ ვემზადებით ამ საერთო მოქმედებისათვის სამშობლოს დასაცელად. ამავე დროს ვიმუშავებთ მთელ სისტემას, რათა შევაკავშიროთ შემოქმედი საქართველო.

**შემომავლი საჩართველო, ჩართველი დემოკრატია ეროვნულ განთავისუფლების გზაზე მოგვავავი, ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მემკოლები — აი ვის მივართავთ ჩვენ.**

**დამოუკიდებელი, დემოკრატიული საჩართველო, საჩართველოს დამოკრატიული რესპუბლიკა — აი ჩვენი მიზანი.**

### **ჩართველი ერი და საჩართველოს ტერიტორია.**

ჩევნ ზევით ვამოვრკვიეთ ჩევნი ძირითადი აზრი. ესაა ქართველი ერის განთავისუფლება, დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენა. ეს რთული საკითხი თავისთვად ნაწილდება მრავალ საკითხად, რომელთაც ჩევნ სალალკე განვიხილავთ. ჩევნი აზრით, ქართველი ერის არსებობა პირდაპირ შეკავშირებულია ქართველ ერის სახელმწიფო ერად გადაქცევასთან. აღადგენს საქართველო თავის. საკუთარ სახელმწიფოს, ესე იგი მოიპოპოვებს ის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, — ქართველ ერის განვითარება და წინსვლა უზრუნველყოფილია. თუ ვერ აღადგენს, ის აუცილებლივ გადაშენდება, დაირღვევა და გაქრება, ხოლო ტერიტორია ამ შემთხვევაში არის ძირითადი საფუძველი. გამოასალეთ ქართველ ერს საქართველოს ტერიტორია — ის უკვე მოსპობილია. შეიძლება, თქვენ მიპასუხოთ, აი არსებობენ უტერიტარიო ერებით და დაასახლოთ ებრაელები და სომხები. მართალია, ეს ერები არსებობენ, მაგრამ ვაი ასეთ არსებობას. გაპნეულნი მთელ დედამიწის ზურგზე, ისინი ყოველგან უცხონი არიან და ვერსად თავისი ეროვნული შემოქმედება ვერ გაუშლიათ. მასთან თუ მათ დღემდისაც მიაღწიეს, ეს იმტიომ რომ ისტორიულ მსელელობაში

ისინი ისეთ პირობებში მოხვდნენ, რომ ყოველი ხალხი მათ მტრულად ეპ-  
ყრობოდა, ყოველ ხალხს ისინი ეჯავრებოდა. სიძულვილი კი ამ შემთხვევაში იყო  
ვაში იყო საოცარი ჯავშანი, რომელიც ამ ერებს იცავდა სხვა ერთა შო-  
რის არევისაგან, მაგრამ რამდენადაც სხვა ერები მათ ურიგდებიან, რამ-  
დენადაც ისპობა მათდამი სიძულვილი და ისინი სრულ მოქალაქებრივ თა-  
ვისუფლებას იძნენ და ადგილობრივ მცხოვრებთ უფლება-მოვალეობით  
უსწორდებიან, იმდენად ისინიც ერევიან ამ ერებში, ზოგი სულ კარგავს  
თავის ეროვნულ სახეს და სავსებით უერთდება უცხო ერს, ზოგს კი ოქე-  
ბა მხოლოდ სარწმუნოებრივი თავისებურობა. აბა, გამოიცანით შეეცა-  
რიაში, გინდ ინგლისში, ამერიკაში, ვინაა ებრაელი და ვინ არა. ამას-  
თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ებრაელებს დღემდისაც ასე თუ ისე  
დაუცავთ თავისი სახე, მათ მეტად დიდი ეროვნული კულტურა აქვთ, კუ-  
ლტურა სარწმუნოებრივი დუღაბით შედუღებული და ათასი, ორი ათასი  
წლის წინედ გამაგრებული თანამედროვე ერების ასპარეზზე გამოსვლამდის.  
საგულისხმიერო ჩეკნთვის სწორედ ისაა, რომ ებრაელთა ერის ის ნაწილი,  
რომელმაც მიზნად დაისახა აღადგინოს კავშირი ძეველ ებრაელურ ენასა და  
კულტურასთან, აღადგინოს ებრაელთა ერი, დარწმუნდა, რომ ეს შესაძლე-  
ბელია მხოლოდ მაშინ, თუ ებრაელობა დაუბრუნდება იმ ტერიტორიას,  
სადაც შეიქმნა მისი ისტორია, აქედან პოლიტიკური მიმართულება, რო-  
მელსაც ჰქვია სახელად სიონიზმი. დიდი ხანი არაა, რაც სიონიზმი დაი-  
ბადა, მაგრამ უკვე ნაყოფი მოიტანა. ებრაელებმა შექმნეს ეროვნული ფო-  
ნდი, დაარსეს ბანკები და შეუდგნენ ბალესტინაში მამულების შეძენას. მო-  
აწყვეს უკვე იქ ორას ათასამდე ებრაელი, გახსნეს დაბალი საზოგადო. და  
სამრეწველო სასწავლებლები, დაარსეს გიმნაზია, ამ მოკლე დროში გახსნი-  
ან პოლიტეხნიკუმს. და ყველა ამ სასწავლებელში სწავლება იქნება ძევე-  
ლ ებრაულ ენის შემწევით. ებრაელობა, როგორც გაფანტული ერი ინ-  
თება სხვა ერებში; ებრაელობა, როგორც ერი, ცოცხლდება თავის ისტო-  
რიულ ტერიტორიაზე დაბრუნებული.

თუ ის ერიც კი, რომელიც ორი ათას წელზე მეტია, გაფანტულა დე-  
დამიწის ზურგზე, თავის ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას პპოებს საკუთარ  
ისტორიულ ტერიტორიის დაბრუნებაში, რაღა გვეთქმის ჩვენ—ერს; რო-  
მელიც ჯერ კიდევ თითქმის სრულიად მიწადმომქმედია, რომელსაც აქვს  
განსაზღვრული ტერიტორია? ქართველი ერი და საქართველოს ტერიტო-  
რია ურთიერთისაგან განუყრელია,

ქართველ ერი ბევრი იერიში აუტანია, მაგრამ ისეთს, როგორიც მაზე  
რუსმა მიიტანა, არას დროს არ მოსწრებია. რუსის მთავრობა კარგად  
ხედავდა, რომ სახელმიფოებრივობა ქართველ ერში ძლიერია, რომ ის  
ასე აღვილად არ დასთმობს და არ მოინდომებს თავის პიროვნებაზე  
ხელი აიღოს. ამიტომ მან პირველ დღიდანვე იერიში მოიტანა ჩვენი  
ეროვნული არსებობის საფუძველზე. ჯერ კიდევ კარგად შემოსულიც არ  
იყო, რომ შემოგვისია გერმანელი გადმოსახლებული, ჩამოართვა ქართ-  
ველებს მამულები და დაურიგა მათ იმდენი, რომ გერმანელი დღესაც  
დიდი მემამულეა. ზედ მოაყოლა რუსის ახალშენები. და აქიდან იწყება  
სახელმწიფოებრივი სისტემატიკური ბრძოლა ქართველთა წინააღმდეგ მიწა-  
წყლის ნიადაგზე. ჩვენ აქ ვერ შეუდგებით მთელი ამ სისტემის გამორკ-

ვევას. უმძლავრესი საშვალება ქართველ ერის ქონებრივ დაცემისა იყო  
საქართველოს მიწა-წყლის სადაც გამოტაცება. ეს დავა, ოფიციალურ  
მოგეხსენებათ, ჯერაც არ დასრულებულა და ოფიციალური აჩანაგებს და ღუ-  
პაცის ის ქართველიაბას, ამასაც ვინც ბრმა არ არის, კარგად უნდა ხელავ  
დეს. მეორე საშვალება იყო ქართველობის სამშობლოდან ძალით არევა.  
ეს ბარბაროსული საშვალება მარტო რუსის მთავრობას შეეძლო ეხმარა.  
და მართლაც მან გარევა ყირიმის კუნძულიდან თათრობა, გარევა შეიდა-  
სი ათასი ჩერქეზი ჩრდილო კავკასიიდან, გარევა ნახევარ მილიონზე მეტი მა-  
ჰმადიანი ქართველობა მესხეთიდან და მათ ადგილზე დაასახლა სომხობა, რო-  
მელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ დაცემაში.  
მესამე დიდი საშვალება არის სისტემატიური გადმოსახლება და ამ საშვა-  
ლების ორგანოთა შექმნა, როგორც არის გადმოსახლების კომისია, სახელ-  
მწიფო სათავადა-აზნაურო და საგლეხო ბანკები. აქ თქვენ ერთი მხრით ხე-  
დავთ მწყობრ სახელმწიფოებრივ სისტემას, მიმართულს ქართველ ერის  
ტერიტორიის წინააღმდეგ, მეორე მხრით კი ერს უფლება აყრილს, დევ-  
ნილს, დამონებულს. საქართველოს ტერიტორიას სხვა მტრებიც უხვად ყავს.  
განსკუთრებულ როლს ამ შემთხვევაში თამშობს სომხობა. იმ ერთა შო-  
რის, რომლებთან ქართველობას რაიმე დამოკიდებულება აქვს, სომხეთ  
ყველაზე უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ პრაქტიკული საქმიანობის ნიჭით,  
როგორც კერძო, ისე ეროვნულ საქმეშიაც. სომები ცოტას ლაპარაკობს  
და ბეგრს აკეთებს. დიდი ხნის ვაჭრულმა ვარჯიშობამ ის ბუნებრივ დი-  
პლომატად გახადა, რომელსაც, ტალიერანის დახსაითებით, ენა იმისთვის  
აქვს, რომ თავისი აზრები დამალოს. და აი ეკანონმიურად გაღინიერებუ-  
ლი სომები საკუთარი ეროვნული საწმუნოებით, რომლის ორგანიზაცია  
წარმოადგენს ერთნაირ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობილებას, საკუთა-  
რი ეროვნული სკოლით და სხვა ეროვნული მოწყობილებით, ძლიერი  
ეროვნული შეგნებით, თავისუფალი უსაქმურ წოდებისაგან, რაც დრო მი-  
დის, იმდენად აძლიერებს თავის ეროვნულ საქმიანობას. განსაკუთრებით  
ის ცილიობს ქართველთა ნაპარტახევებე მაგრად მოიკიდოს ფეხი და კი-  
დეც საგრძნობელად აღწევს მიზანს. ბირჩალოს მაზრის, თბილისის მაზ-  
რის და სხვა ადგილების ლატიფუნდიები ერთი მეორეზე სომებთა ხელში  
გადაიდის. და ეს გადასვლა არ არის უბრალო ყიდვა-გაყიდვის საქმე. სო-  
მებ მესაკუთრებს თან მისდევს სომები მუშა, სომები გლეხი და ამ გვარად  
პროცესი ეროვნულ ექსპროპრიაციად იქცევა. მყვირალ ქართველთ არ  
უყართ ასეთ საკითხების შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ეხლა მანც დროა  
ამ მყვირალ უსაქმურ ბურთი პირში ჩაისაროთ და საქმეს პირდაპირ  
შეეხდოთ. ასე საქართველოს ტერიტორიას მოადგა ყოველ მხრივ სხვა-  
დასხვა ხალხი და ლამობს ის ხელში ჩაიგდოს, ქართველობა გააბოგანოს  
და ამით სულ აღგავლს დედამიწის ზურგიდან. ქართველმა ერმა უნდა  
დაიიცას თავისი თავი, მან უნდა იბრძოლოს თავისი მიწა-წყლისათვის,  
როგორც უბრძოლია დასაბამიდანვე. და აი ის აცხადებს: **საქართვე-  
ლოს ტერიტორიი ჩართველ ერს.**

ესაა პრინციპი, რომელიც მას ხელმძღვანელობას გაუწევს გარეშე ძალა  
წინააღმდეგ, ესაა პრინციპი, რომელიც მას გზას გაუკვლევს წინაურ საქ-  
მიანობაშიც. რა საკვირველია, ერთად ერთი საშვალება ნამდვილი, უტყუ-

არი, რომ ქართველმა ერმა თავისი მიწა-წყალი უენიარჩუნოს, არის ცაქა-  
რთველოს სახელმწიფო ბრივი ადგენა. ტერიტორიას ფლობს ის, კინც  
სუვერენია ამ ტერიტორიაზე, ვისაც შეუძლია განსაზღვრულ სახელმწიფ-  
ო ბრივი საქმიანობით მოსულიც მოიგეროს და შინაც მცხოვრებთა ურ-  
თიერთობა მოაწესრიგოს. თუ ქართველ ერს ეს სუვერენობა დროებით წა-  
ერთვა, მან უნდა დაიბრუნოს წართმეული და თავისი სახლში სხვას ხელი  
არ აფათურებიოს. დაკარგულის დაბრუნება მოითხოვს სისტემატიურ  
ბრძოლას. ეს ბრძოლა იქნება საერთო პოლიტიკური ხასიათის. მაგრამ  
თუ ერთი მხრით ჩვენ ვებრძევთ ყოველივე გარეშე ძალას და ვისავთ სა-  
მშობლო მიწა-წყალს, მეორე მხრით ჩვენ მოვალე ვართ შინაც მიიჩედ-  
მოვიხედოთ. ჩვენ ვისავთ კერძო საკუთრებას. მაგრამ ეს სრულიად არ  
ნიშნავს, რომ კერძო საკუთრებას არაეითარი საზღვარი არ ჰქონდეს. ყო-  
ველი საზოგადოებრივი დაწესებულება განისაზღვრება მისი სარგებლობით  
საერთო ერთეულის წინაშე. კერძო საკუთრებასაც იმდენად ვისავთ, რამ-  
დენადაც ის ხელს უწყობს ქართველი ერის ეკინომიურ-სოციალურ და პო-  
ლიტიკურ აღდგენას. ოქვენ რომ მესაკუთრე ხართ, ეს კი არ ნიშნავს, რომ  
თქვენ მხოლოდ უფლება გქონდეთ და არაეითარი მოვალეობა, ეს კი არ  
ნიშნავს, რომ თქვენ თქვენი საკუთრება, როგორც გნებავდეთ, ისე მოიხ-  
მაროთ, ერთ ღამეს გაფლანგოთ, ან რუსის საგლეხო ბანქს მიჰყიდოთ და  
ამით ხელი მოუმართოთ ჩვენში რუსთა ჩამოთხველას და ქართველთა შე-  
ვიწროებას, ეს არც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უფლება გეძლეოდეთ, ისე-  
თი საქმიანობა გააჩაროთ, რომელიც ხალხს პოლიტიკურად და სოცია-  
ლურად აძაბუნებდეს და აჩაჩაკებდეს. არა, კერძო საკუთრება მატო  
უფლება კი არა, ის მოვალეობაც არის, მას თან ახლავს განსხალერული  
ბოვალეობა, მოვალეობა იმ ერის წინაშე, რომლის საუკუნოებითი ბრძო-  
ლის შედეგია ის სიკეთე, რომელიც თქვენ ხელთა. კერძო პირი ფლობს  
იმდენად, რამდენადაც ეს მფლობელობა თვით ერისთვის, მისი კეთილ-  
დღეობისთვის სასარგებლოა. კერძო პირი კარგავს უფლებას იყოს მესა-  
კუთრე, რამდენადაც ეს მისი უფლება ქართველ ერის, მისი უმრავლესო-  
ბის არსებობის წინააღმდეგაა მიმართული. ქართველი ერი თუ ჰკარგავს  
მამულს, გარდა იმისა, რომელსაც რუსის მთავრობა ძალით დაეპატრონა,  
ჰკარგავს თავად-აზნაურობის წყალობით; თუ ქართველი ერი ინარჩუნებს  
მიწა-წყალს — მშრომელი წერილი მესაკუთრის წყალობით. თუ ქართ-  
ველი ერი აუმჯობესებს თავის კულტურას, თუ ის ქმნის მეურნეობის ახ-  
ალ დარგებს და განვითარების გმაზე მიღის, ეს მხოლოდ წერილი მესა-  
კუთრის წყალობით. აქედან აშკარაა, თუ გსურთ ქართველი ერი წელში  
გაიმართოს, უნდა დასცეთ თავად-აზნაურობა და ძალა გადასცეთ წვრილ  
მესაკუთრეს. მართლაც და, საქართველოში ას მცხოვრებზე 87 გლეხია,  
9 თავად-აზნაურია. ცხრაშიც დაახლოვებით 6 იქნება ისეთი წვრილი მე-  
საკუთრე, რომელიც თუმცა კიდევ არ განთავსუფლებულა საესებით ძე-  
ლებურ კუდაბზიკობისაგან, მაგრამ უკვე ჩაება მამულის დამუშავებაში და  
ამგვარად ერის შემომქმედი ელემენტია. დაგვრჩა ასზე სამი კაცი. აი ამ  
რაოდენობით უმნიშვნელო რიცხვს უკირავს უმთავრესი ნაწილი საქართ-  
ველოს მიწა-წყლისა. მთელი ბორჩალოს მაზრა სულ ოთხი გვარის ხელ-  
ში იყო; თითქმის მთელი სამეგრელო სამეგრელოს მთავრის შვილს ეკუთ-

ვნის და როდის გაგვიყდის, არ ვიცით. და განა ვინმეს შეუძლია შეწიროდეს  
რაიმე ზომის წინშე, რომ ეს მცირედი ნაწილი, რომელიც ფლანგას ქა-  
რთველ ერის ტერიტორიას, რომელიც უფსკრულისკენ მიგვაქნებს, მო-  
სპობილ იქნას?

მაგრამ ვთქვათ, მემამულეთ ჩამოართვით მიწა — წყალი. როგორ უნდა  
მოიხმაროთ? აქ წინ დაგხვდებათ სხვა და სხვა რეცეპტი. ერთი გეტუვის:  
„მუნიციპალიტაცია საკუთრებისა ეს ერთად-ერთი ფორმა, რომლის მომ-  
ხრედ ჩენ (იგულისხმეთ რუსის სოც.—დემ.) შეგვიძლია გამოვიდეთ კაპი-  
ტალისტურ ხანაში.“ ახლა მას მეორე წამოედავება და კიდევ უფრო ბუ-  
ნდოვან და ზღაპრულ გეგმას მოგცემთ: ჩენ უსათუღად სოციალიზაცია  
გვსურსო. სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს ეს ორი ბუნდოვანო-  
ბა შესაფერად დავაფასოთ. მხოლოდ აღნიშნავთ, რომ არც ეკონომიკი,  
არც სოციალური, არც ტეხნიური მდგომარეობა დღევნელ მიწადმო-  
მედებისა, მით უფრო ხალხის სულიერი განწყობილება არ ეგუება ამ გე-  
გმებს. ჩვენ არც კი აღნიშნავდით მათ, ვინ იცის, სხვორებაში რამდენი  
უსაფუძვლო ღანება იბადება და ქრება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერ-  
თი ჯგუფები თითქო ცდილობენ ეს ზღაპრები პრაქტიკულ პოლიტიკის  
საფუძვლად გახადონ და ამით ხალხს გზა-კვალს უძნევენ. ამ ზღაპრებმა უ-  
კვე საკმარისი ვნება მოუტანეს ქართველ ხალხს. მაშინ როდესაც ყოველი  
გლეხი სულ სხვა დევიზით გამოდის. ის ამბობს: მშრომელს თავისი შრო-  
მის იარაღი. მიწა ხომ საფუძველია მისი შრომის. მაშ ყოველ მიწადმო-  
ქმედს იმდენი მამული, რამდენსაც გაწვდება მისი საქმიანობა — აი ჩვენი  
მისწრაფება. ამ გვარად ჩვენი მიზანია დიდ მემამულეთა ექსპროპრიაცია.  
რა საკიონელია, პირდაპირი გზა ამ მიზნისაკენ არის რევოლუციონური გა-  
მოსვლა. ამ გამოსვლისათვის ჩვენ მუდამ მზადებაში უნდა ვიყვეთ და იმავე  
დროს უნდა გვახსოვდეს, რომ აჯანყება ყოველთვის მხოლოდ დაგვირგვი-  
ნებაა იმ პროცესისა, რომელიც სხვორებაში მოქმედობს და ვითარდება.  
ბრძოლა გლეხისა ბატონის წინააღმდეგ ისევე ხანგრძლივია, როგორც თვით  
ფეოდალობის არსებობა. მაგრამ დღეს ამ ბრძოლას უფრო მეტი ხასი-  
ათი აქვს. რამდენად დემოკრატია წელში იმპორტია, რამდენად ის შეგნე-  
ბული ხდება, იმდენად მისთვის აუტანელია მუდმივი ნამდვილი ყობა უმა-  
მულობით გამოწვეული. ბრძოლას ეძლევა სისტემატიური ხასიათი. ტე-  
რორი, ბოკიკოტი და სხვა საშვალება მუდმივ მოქმედებაშია. გლეხთა კავ-  
შირი თანდათან იზრდება და ბრძოლის საშვალებაც ძლიერდება. თუ ჩვენ  
ვალიარებთ პირდაპირი ბრძოლის საკიონებას, იმავე დროს ჩვენ ვერ და-  
ვერიდებით სხვა საშვალებათაც. ესეთია მამულის გამოყიდვა გლეხების  
მიერ. გლეხები ადგენენ საკუთარ ღოვანისაციებს მამულის შესაძნალ. ამ  
საქმეში მათ უნდა დაეხმაროს მთელი საქართველოს დემოკრატია, რადგან  
გლეხთა მესაკუთრედ გახდომა და ბატონისაგან განთავისუფლება — ესაა უმ-  
ტკიცესი საფუძველი ჩვენი მომავლისა. სამწუხაროდ, ამ აზრს ბევრი მტე-  
რიც ჰყავს. აი რას სწერს სხვათა შორის რუსის სოც.—დემ. პუბლიცისტი  
ბ. ნ. ე. — ია: „მიწების გლეხთა მიერ დღეს შეყიდვას არც ეცნობეთ და  
არც ვქადაგებთ. როცა გლეხები ასეთ სურვილს ასხადებენ, ჩვენ ვეუბნე-  
ბით, თუ გნებავთ, იყიდეთ, მარა ეცადეთ იყიდოთ, რაც შეიძლება იდად  
და შელავათებით.“ სორა შემდეგ: „თუ გლეხი რჩევას გვკითხავს, ვიყიდ-



თუ არა, მას ჩვენ ვეუბნებით: „ეს თქვენი ჯიბის საქმეა, ჩვენ მხოლოდ გადა  
დაგეხმარებით მემამულესთან მოლაპარაკებაში და მამულის ხელსაყრელ პი-  
რობებით გამორთმევაში.“ (ნ. ე. თხ. გვ. 536). აქ ორი რამ აშეარად  
ირკვევა. ერთი მხრით არის „ჩვენ“, ე. ი. ოუსის სოციალ-დემოკრატები,  
მეორე მხრით „თქვენ“, ე. ი. ქართველი გლეხი. თუ ასეთი ჩვენ-თქვენო-  
ბაა მათ შორის, რაღაც გამოგენიჭედს ყური რუსის სოციალ-დემოკრატე-  
ბმა ჩვენ ვართ ერთად ერთი წარმომადგენელი ქართველ გლეხებისო. მეო-  
რე, როცა გლეხი თავისი ნაოფლარით ცდილობს ერთი მტკაველი მიწა შე-  
იძინოს, რუსის სოციალ დემოკრატი მას ეუბნება, ეს შენი ჯიბის საქმეა,  
თუ ძალიან დამიმადლებ (აქ მადლობა არც ისე უანგაროა), დალალობებ  
გავწევო.

ჩვენში მიწის მობილიზაცია ისეთი სისწრაფით ხდება, ისეთი ძლიერი იე-  
რიშია მოტანილი ჩვენზე ყოველ მხრივ, რომ საჭიროა ყოველ ზომას მივ-  
მართოთ, რათა ტერიტორიაც დავიცვათ, მშრომელი ქართველიც უზრუნ-  
ველვყოთ. თუ გლეხი მიწის შეძენას მოინდომებს, არამც თუ გვერდზე არ  
უნდა გავდგეთ, ეს პირდაპირ სამშობლოს დალატი იქნება, პირიქოთ უნ-  
და წავაქეზოთ და ყოველ ნაირად ურთიერთ დაგეხმაროთ. დღეს დიდ ეროვ-  
ნულ საჭიროებას წარმოადგენს ეროვნულ ბანკის შექმნა. აქ სიძნელე მთა-  
ვრობის მხრივაა, თორემ დანარჩენ დაბრკოლებას ადვილად გადავლახავთ.  
ხოლო ვიდრე ამ ბანკს დავაარსებდეთ, საჭიროა ეხლავე შევუდგეთ ეროვ-  
ნულ ფონდის დარსებას. რასაკირველია, ამ ფონდს არ ქწენდა მიზნად  
მხოლოდ მამულების შეძენა გლეხთათვის, მაგრამ ეს უმთავრესი მისი და-  
ნიშნულება უნდა იყოს. ჩვენ ამ ფონდის შესახებ შემდეგ გვექნება დაწვრი-  
ლებით ლაპარაკი. მხოლოდ ახლავე ურჩევთ ჩვენ თანამოაზრეთ შეუდგენ  
საქმეს, შეადგინონ ეროვნული ფონდის წრეები, იქანიონ მსჯელობა, გა-  
მოარყიონ მისი დანიშნულება, საშალება და გამგობა. დარწმუნებული  
იყავთ, მცირედითაც ბევრი გაკეთდება, როცა შეგნებით დიდარი ხართ  
და შეუჩერებლივ, სისტემატიურად მიიღლუთ განსაზღვრულ მიზნისკენ.

ამნაირად ჩვენი პრინციპია — საქართველოს ტერიტორია ქართველ  
ერს. ამ პრინციპის ძალით ჩვენ ვებრძევთ ყველას, ვინც უნდა იყოს, ჩვენ  
ტერიტორიაზე გარედან მოსული და მივმართავთ ყოველ საშვალებას მათ  
მოსაგერებლად. შიგნით ვებრძევთ დიდ მემამულეთ, რათა ჩამოვართვათ მათ  
მამული და წვრილ-წვრილ ნაკრებათ დავურიგოთ მშრომელ გლეხები-  
ბას. ტერიტორიალური და მასთან მცირდოდ შეკაშირებული აგრარული  
საკითხი ჩვენ მიგვაჩნია ძირითად საკითხად ქართველი ერის არსებობისა.  
ვინც მას გვერდს უვლის და არ იბრძების სამშობლოს ტერიტორიის და-  
საცემად, ის თავისი ერის მოღალატე. ვინც იბრძების ამ ტერიტორიის  
დასაცემად, ის ხელს უწყობს ქართველ ერის არსებობის დაცვას, საქა-  
რთველოს გამაგრებას, ქართვლ დემოკრატიის გაძლიერებას და მით ჩვენი  
მომავლის — დამოუკიდებელ საქართველოს შექმნას.

ამ პრინციპით ვუფრენი მიუწოდო ისეთ უფრო დარწმუნებული შემთხვევაში: შემთხვევაში მიუწოდო ისეთ უფრო დარწმუნებული შემთხვევაში:



თანამოაზრეთ და თანამიზრობთ.

ჩვენ ლრმად დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი ქართველი გრძნობს საშობლოს დღევანდელ მდგომარეობას, ბევრი იტანჯება ამ გრძნობით. გრძნობა ძეირფასი განძია, უმისიოთ შორს ვერ წახვალთ, მაგრამ გრძნობა ბრმა და უძლურია, თუ ის განმარტოებულია, თუ მას არ აშექებს გონება, რომლის შემწეობით განსაზღვრულ სახეს იღებს თქვენი მისწოდება, ყალიბდება თეატრიულად, ყალიბდება პრაქტიკულად. ჩვენ არ შეგვიძლია, სამწუხაროდ, არ ვცნოთ, რომ სხვა და სხვა მიზეზთა გამო ქართული პოლიტიკური აზრი სუსტი და გამოუჩვეველია. ის უფრო ზოგადი პრინციპების სფეროში ტრიალებს და მოკლებულია პრაქტიკულ საქმითნობას. მაშინ როდესაც თუ თქვენ არ მოახდინეთ რთული ეროვნული ტხოვების ანალიზი, თუ თქვენ არ გაითვალისწინეთ, არ ასწონ — დასწონეთ ყოველი მხარე ეროვნულ ტხოვებისა, თუ არ შეიმუშავეთ რთული გეგმა ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად და პრაქტიკულადაც არ იმუშავეთ, ისე ზოგადი პრინციპი მკვდარი რჩება. ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა, ხელი შევუწყით ქართულ ეროვნულ აზრის გარღმავებას, მის ჩამოყალიბებას, მის განსაზღვრულ სახედ გარდაქცევას. რასაკვრელია, პირველ ნომერში ჩვენ არ შეგვეძლო ყველა საკითხს შევხემოდით და გაგვერევია — ეს მომავლის საქმეა. ჩვენ მხოლოდ წამოვაყენეთ საზოგადოდ ქართველი ერის არსებობის საკითხი. და ჩვენი სახოვარი მხოლოდ ერთია, ჩაუკვრდით ჩვენს აზრებს, დაფიქრდით მათ შესახებ, კრიტიკულად ასწონ-დასწონეთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ ასე მოიქცევით, იძულებული იქნებით ორში ერთი გზა აირჩიოთ: ან უარყოთ ქართველ ერის მომავალი და მიეკედლოთ მის დამრღვევ ძალებს ან მოგვემზროთ ჩვენ და ჩვენთან ერთად ეროვნულ შემოქმედების გზაზე იმუშავოთ.

ასი წლის პოლიტიკურმა დაბეხავებამ ქართველებში შექმნა ერთნაირი თვის პიროვნების უარყოფა, თავისთავის უიმედობა და სხვისი გაზვიადებული იმედი. „ერთმორწმუნე“ რუსეთი — ეს ჩვეულებრივი ფრაზაა ყოველ მოპოლიტიკოსე ქართველის პირში. რუსეთის იმედი სხვა და სხვა ფერით შედამ პირზე აკერია ქართველს და ყოველ ადგილს გაიძახის. წინად სულ ერთმორწმუნებაზე იყო საქმე, როცა ამ ფანდმა არ გასკრა და „ერთმორწმუნე“ რუსეთმა ყოველ მტერზე მეტი ზიანი მოგეყუნა, ჩვენმა პოლიკოსებმა მაინც ჰქუა ვერ ისწავლეს, მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა ციტაოდნად ჰანგი შესტავალა, ახლა ისინი ამბობენ: ეს რუსის ბიუროკრატია იყო, რომ გვარჩობდა, რუსის ხალხი, რუსის დემოკრატია კი ყოველ წყალობას გვიწყალობებსო. და აი მუდმივი ლაქუცი და თავის დამტირება, მუდმივი ყვირილი-მიყვაჩხართ, უთქვენოდ ტხოვება ვერც კი წარმომიდგენია. ამ წრე გადასულ ლაქუცს მეტად ცუდი შედეგი მოსდევს.. ესაა თავის მოტყუება. ყოველი ერთი თავის ბედის მეტელი თვითონაა. ისეთ პირობებში, როგორშიაც ჩვენ ვართ, სხვა ერებიც ყოფილან: უნგრეთი, ჩეხია, ირლანდია, იტალია და ბევრი სხვა. ერთი მაგალითი მაინც მოიყვანეთ, რომ გაბატონებული ერის დემოკრატიას, ხალხს გაენთავისუფლებიოს დამონებული ერი. განა თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ რუსის ხა-

ლხი ინგლისის ხალხე უფრო დემოკრატია? რაც რუსეთისთვის დღეს იყდა მარტინ ლინკო, ის ინგლის სამხი — ოთხის წლის წინეთ ჰქონდა, მაგრამ აი შეცდეთ, ასი წელიწადი ირლანდია უკიდურესი თავგანწირულებით ებრძების ინგლისს თვითმართველობის მოსაპოებლად და ჯერაც ვერ მოუპოვებია. და თუ მოიპოვებს, ეს იქნება გამარჯვება ირლანდელ მეომართა სისხლით მოპოებული. გერმანია ხომ რუსეთზე ნაკლები არაფრითაა? მას აქვს სრული დემოკრატიული პოლიტიკური წყობილება, წარმოიდგინეთ, სოციალ-დემოკრატებიც კი ბლომად ჰყავს, მიუხედავათ ამისა სწორეთ დღეს გერმანია აწარმოებს პოლონელთა მამულების ექსპროპრიაციას გერმანელებით დასახახლებლად.

ტყუილია, თითქო მხოლოდ რუსის ბიუროკრატია იყოს რუსის პოლიტიკის მატარებელი. რუსის პოლიტიკას ჰქმნის რუსის ერი თავის მთავრობის ხელმძღვანელობით. და რამდენადაც ეს მთავრობა დემოკრატიული ვახდება, რამდენადაც მასასა მეტ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პოლიტიკაში, იმდენად რუსის პოლიტიკური მიდრეკილება უფრო ძლიერის ინტენსიური ნაბიჯით ივლის თავისი ისტორიული გზით, ეს გზა კი არის გზა ცენტრალიზმის, სხვა ერთა დაცემისა და გათქვეფის. მაში თავს ნება ატყუებო. განა იმ მამულებზე, რომელიც ქართველებს ჩამოართვეს, რუსის ბიუროკრატები დასახლდნენ? თუ იქ სხვერობს რუსის ხალხი, რუსის გლეხები? განა სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგ., რკინის გზაზე, რუსის ბიუროკრატები არიან მუშად? თუ რუსის მუშები? ეს რუსის დემოკრატიის მესანიზმი მხოლოდ ერთგვარი ფილენჯის ქარია ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. მას კვებავს მონური გრძნობა, გრძნობა მორჩილებისა, რომელიც მხოლოდ გვამტირებს და გვათახსირებს. ეს მონები თქენებ უსათუოდ შემოგახსებენ: როგორ თუ თავისუფალი საქართველო! ეს რომ რუსებმა გაიგონონ, ხომ იმასაც წაგვართმევენ, რაც გვაქვსო. იმედია, თქვენ ნათლად დაანახებთ ამ მონებს, რომ წასართმევი საღარაფერი დაგვრჩენია, უფრო შობს წასვლა არც შეიძლება, და თუ წართმევაზე მიდგა საქმე, თუ არ იბრძეო, სულსაც კი წაგართმევენ. ამიტომაც რუსის მოტრფიალეს, რა სახის და ჯიშისაც არ უნდა იყოს, ხელი ჰკართ, მოიშორეთ. შეადგინეთ წრეები, სადაც სისტემატიურად გააკეთეთ ქართველი ერის არსებობის საკითხები. შეიმუშავეთ ზომები ეროვნულ თავდაცვის საწარმოებლად, გამაგრდით თეორიულად, გაიმართეთ წელში პრაქტიკულად. იცოდეთ, დაბრკოლება ძლიერი და უთვალავია, მით უფრო მიმშიდველია ბრძოლა, ბრძოლა მშობლიურ ერის კეთილდღეობისათვის. იმედია, ასეთ წრეებთან ჩვენ რედაქციას ექნება მჭიდრო კავშირი. ლეგალური გამოცემანი რომ გადათვალიეროთ, იფიქრებთ, თითქო ჩვენში ისეთი არაფერი ხდებათ. მაშინ როდესაც დღე არ გადის, რომ ქართველ ერზე რაიმპ იქრიში არ მოიტანონ; ამ იქრიშს ხშირად პასუხიც ეძლევა. მოცვეშიცდეთ სნობები იმ ქართველთა შესახებ, რომელნიც სამშობლოსთვის იბრძეინ და იჩაგრებიან. ბევრი ყოფილა ასეთი ამბავი ჩვენში და ბევრი დაკარგულა. მეორე მხრით, იცოდეთ — პირველი მტერი ქართველ ერისა არის თვით ქართველი. სამშობლოს მოღალატე, სულიერად ბინძური, ჩინ-ორდენების და გამორჩენის მიმდევარი, ვითარცა წუწკი ძალლი, მთავრობას ელაქუსება, თვალებში შესცემერის და ხშირად

მის განზრახვასაც წინ უსწრებს. ხშირია ჩენეში მღვდელი, რომელიც ქართულ ენას კელებიდან აძევებს, სშირია ქართველი მასწავლებელი, რომელიც მეტად უსწრებს. უზრს თითქო ის პატაწკინტელა კუნტულიც რომელიც მომდევნის, მას, რომ ჩენე მტერთა გული მოიგოს. ხშირია... მაგრამ რაღა ჩამოგთვალით? განა ერთი და ორია ჩენეში სამშობლოს მოდადატე, ორგული, მტერი? მოგვაწოდეთ ცნობები ამ წუწყ არსებათა შესახებ. ვინ იცის, დღეს თუ არა, ხეალ მაინც შევძლოთ შესაფერად დავაფასოთ მათი ღვაწლი. მიაქციეთ განსაკუთრებითი ყურადღება მიწაწყლის საქმეს. განსაკუთრებულად თვალ-ყური ადეგნერ გლეხთა მდგომარეობას, მოგვაწოდეთ ცნობები იმ მემამულეთა შესახებ, რომელიც ავიწროებენ გლეხებს. აგრეთვე, იმ მემამულეთა შესახებაც, რომელიც თავის მამულებს უხხოლებს უგდებენ ხელში. ჩენე ლრმად გვწამს, რომ დემოკრატია შესძლებს ამ სამშობლოს მოლალატეთა ჯეროვან დასჯას. მოგვაწოდეთ მთავრობის სხვადასხვა დოკუმენტები, მოგვაწოდეთ სტატიები სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხის შესახებ, ერთი სიტყვით, ყოველი მსალა, რომელიც ქართველ ერის მდგომარეობას შეეხება, ჩვენთვის ძვრთასი იქნება. ამავე დროს გთხოვთ, წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ პოლიტიკურ-საციალურ საკითხებს. აქ მუშაობა პარალელულად ორი გზით უნდა სწარმოებდეს. ერთი გზა — თეორიული მეცადინეობა: რა არის ერი, მისი ბუნება, მისი მნიშვნელობა. ეროვნული ბრძოლა სხვადასხვა ქვეყნებში. ეროვნულ მეურნეობის საკითხი.

იცოდეთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ამ საკითხებს, რადგან ეს უმთავრეს ძარღვთაგანია ეროვნულ არსებობისა. თუ ქართველი ერი ეკონომიკურად არ გაძლიერდა და ეკონომიკურად ვერ მოიგურია მანედ იურიშით მოსული ხალხი, მაშინ პოლიტიკურადაც ვერ გაღონიერდება. მეორე გზა — ქართველი ერის მდგომარეობა. ჩენე აქ არ ჩამოვთვლით ყველიმ საკითხს ქართველ ერის შესახებ, რომელთა შესწავლა, გათვალისწინება აუცილებელია ყოველი ქართველისთვის, რომელიც მოწადინებულია შეგნებულათ იბრძოლოს თავის ერის საკეთილდღეოდ. ჩენე ვეტერებით ეს საკითხები თანდათან წამოვაყენოთ და გავარკვიოთ ჩენეს უზრნალში. ხოლო მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება ქართველ ერის ისტორიის მიმღინარეობაში იმ ძალებს, რომელიც ჰქმნიან მის მთლიანობას, ამაღლებენ, წინ სწევენ და იმ ძალებს, რომელიც მას არღვევენ, აკინძებენ, ამტირებენ. მთელი ჩენე ისტორია ამ ორ ძალთა ურთიერთი ბრძოლაა. ამ ძალთა შეგნება მომავალ სამოქმედო გეგმასაც ნათლად დაგანხვებთ.

მივეკედლოთ შემომქმედ საქართველოს, ვემსახუროთ მას და შევუწყის ხელი ჩენე ქვეყნის პოლიტიკურ განთავისუფლებას. რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ თქვენ ყოველ მხრივ მას დაეხმარებით და ამით საშვალებას მისცემთ ემსახუროს სანეტარო იდეალს — თავისუფალ საქართველოს.

თუმცა პირადათ არ გიცნობთ, „თავ. საქ.“ არ დაგიკვეთნიათ, მაგრამ თქვენი მისამართი გავიგეთ და გიგზავნით. მისამართი ყოველგვარ კორესპონდენციისათვის: